



საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

ბავშვის უფლებათა დეპარტამენტი

სპეციალური ანგარიში

ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგი -
ალტერნატიული ზრუნვის ეფექტიანობა

თბილისი

2019

პუბლიკაცია მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდისა (იუნისეფი) და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი და პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ ეკუთვნის გაეროს ბავშვთა ფონდსა და ევროკავშირს.



სარჩევი

შესავალი	3
მონიტორინგის მეთოდოლოგია.....	3
მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის მონიტორინგი	5
1. ინფორმაცია მომსახურების შესახებ	6
2. ემოციური განვითარება და ძალადობისგან დაცვა.....	10
3. განათლება და ფსიქოსოციალური განვითარება.....	12
4. უსაფრთხო ფიზიკური გარემო.....	14
5. ჯანმრთელობის დაცვა და კვება.....	15
რეინტეგრაციის სახელმწიფო სერვისის მონიტორინგი	15
1. ინფორმაცია მომსახურების შესახებ	16
2. ემოციური განვითარება და ძალადობისგან დაცვა.....	18
3. განათლება და ფსიქოსოციალური განვითარება.....	19
4. უსაფრთხო ფიზიკური გარემო და ჯანმრთელობა.....	21
5. საყურადღებო შემთხვევები	23
ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში.....	24
1. ინფორმაცია მომსახურების შესახებ	25
2. განათლება და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება	28
3. ჯანმრთელობის დაცვა და კვება.....	31
4. ინფრასტრუქტურა, ჰიგიენა და სანიტარული მდგომარეობა.....	34
5. ძალადობისგან დაცვა	36
ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში მყოფ პანსიონურ დაწესებულებებში	43
1. ინფორმაცია მომსახურების შესახებ	44
2. ძალადობისგან დაცვის უფლება	46
3. განათლების უფლება და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება.....	46
4. კვება და ჯანმრთელობის დაცვა.....	48

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სპეციალურ ანგარიშს, რომელშიც ასახულია ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგის შედეგები. აღნიშნული მონიტორინგი განახორციელა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა დეპარტამენტმა, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერილი პროექტის, „ბავშვის უფლებათა ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება“, და ევროკავშირის პროექტის, „ბრძოლა დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ საქართველოში“, ფარგლებში, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტებთან თანამშრომლობით.

მონიტორინგის შედეგებმა გამოავლინა, რომ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის მიმართულებით არსებობს არაერთი გამოწვევა, რასაც სახელმწიფოს მხრიდან ამ დრომდე არ მოჰყოლია ქმედითი და ეფექტიანი ნაბიჯები. წლების განმავლობაში რჩება პრობლემები ბავშვის მიმართ ძალადობის, განათლების უფლების განხორციელების, არასრულწლოვანთა სათანადო ფსიქოლოგიური/სარეაბილიტაციო სერვისებით უზრუნველყოფის, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების, ზრუნვის პროცესში ჩართულ პირთა კვალიფიკაციისა და როგორც ადამიანური, ისე ფინანსური რესურსის ნაკლებობის მიმართულებით.

სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნები, აუცილებელია სარგებლობდნენ დაცვის მაღალი სტანდარტით. სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში ყოფნის მრავალწლიანი გამოცდილება, მომსახურების ფორმების ხშირი ცვლა, ფსიქიკური ჯანმრთელობისა თუ ქცევითი პრობლემები, ძალადობრივი გამოცდილება, ბიოლოგიური ოჯახისგან განცალკევება - თავისთავად სტრესული ფაქტორია არასრულწლოვნისთვის და მის მიმართ წარმოშობს განსაკუთრებული მოპყრობის, მაღალი ხარისხის სერვისებით უზრუნველყოფის აუცილებლობას, რაც ამ დრომდე სათანადოდ არ ხორციელდება. ამასთან, არ არის უზრუნველყოფილი არასრულწლოვნების ბიოლოგიური ოჯახებიდან, ბავშვთა სიღარიბის საფუძვლით განცალკევების პრევენცია, რადგან სოციალური დაცვის სისტემა უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვიან ოჯახებს ვერ სთავაზობს ეფექტიან, შედეგზე ორიენტირებულ ბავშვზე ზრუნვისა და სოციალურ პროგრამებს.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო უწყებებმა გაითვალისწინონ ანგარიშში გამოკვეთილი სისტემური პრობლემები, რაც საფრთხეს უქმნის და ეწინააღმდეგება ბავშვთა ინტერესის დაცვის საკითხს და დროულად გაატარონ ქმედითი ღონისძიებები სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული მონიტორინგის პროცესი ემყარებოდა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მიერ შემუშავებულ ისეთ

სახელმძღვანელო პრინციპებს¹, როგორცაა სარწმუნო და ზუსტი ინფორმაციის მოპოვება, კონფიდენციალობის დაცვა, სანდოობა, მიუკერძოებლობა, ობიექტურობა, სენსიტიურობა და პროფესიონალიზმი, ზიანის მიუყენებლობა, მანდატის პატივისცემა, სტანდარტების ცოდნა, საღად განსჯა, კონსულტაციების გავლა, ხელისუფლების ორგანოებისადმი პატივისცემა, უსაფრთხოება, ქვეყნის თავისებურებათა გათვალისწინება, სიზუსტე, პატიოსნება და თვალსაჩინოება.

მონიტორინგი განხორციელდა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში; მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობა ემყარებოდა საქართველოს კონსტიტუციას, გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციას, საქართველოს კანონს სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ, საქართველოს კანონს შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, ტექნიკურ რეგლამენტს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ² და სხვა საერთაშორისო და ეროვნულ სამართლებრივ აქტებს.

საწყის ეტაპზე შემუშავდა მონიტორინგის ძირითადი ინსტრუმენტი, გამოთხოვილ იქნა სტატისტიკური და სხვა საჭირო ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან. მეორე ეტაპზე ჩატარდა სავსე სამუშაოები.

მონიტორინგმა მოიცვა 43 მცირე საოჯახო ტიპის სახლი, 128 მინდობისა და 68 რეინტეგრაციის სახელმწიფო ქვეპროგრამაში ჩართული ოჯახი და 7 რელიგიური სკოლა-პანსიონი. სახალხო დამცველის რწმუნებულებმა, არასრულწლოვანთა საჭიროებებისა და უფლებრივი მდგომარეობის კუთხით არსებული მდგომარეობის შესასწავლად და სახელმწიფო მზრუნველობის ეფექტიანობის შესაფასებლად, ასევე განახორციელეს ვიზიტები სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 64 ტერიტორიულ ერთეულში. საბოლოოდ, მიღებული მასალა მონიტორინგის ჯგუფის, სტატისტიკოსისა და სტატისტიკოს-ანალიტიკოსის ჩართულობით დამუშავდა.

ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებებისა და სახელმწიფო ქვეპროგრამების მონიტორინგი კვლევის რაოდენობრივი (კითხვარები ბენეფიციარებისთვის, აღმზრდელებისა და სოციალური მუშაკებისთვის) და თვისობრივი (ინტერვიუები ბენეფიციარებთან, აღმზრდელებთან და სოციალურ მუშაკებთან), ასევე, გარემოს ვიზუალური დათვალიერების და დოკუმენტაციის შემოწმების გზით ჩატარდა.

¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარი, „სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების მონიტორინგის შესახებ“, პროფესიული ტრენინგების სერია №7, თავი 5, ძირითადი პრინციპები, ჟენევა, ISBN 92-1-154137-9.

² საქართველოს მთავრობის დადგენილება №66, 2014 წლის 15 იანვარი, ქ. თბილისი, ტექნიკური რეგლამენტი ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ.

ჩატარებული მონიტორინგის საფუძველზე, სახალხო დამცველმა საქმისწარმოება დაიწყო არასრულწლოვნის სავარაუდო უფლებადარღვევის 45 ინდივიდუალურ შემთხვევაზე და 4 რეკომენდაციით მიმართა შესაბამის უწყებებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე მომზადდა სპეციალური ანგარიში შესაბამისი რეკომენდაციებით, რომელთა გათვალისწინება სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ალტერნატიულ მზრუნველობაში განთავსებულ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის მონიტორინგი

ალტერნატიული ზრუნვის მონიტორინგის ფარგლებში, ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება იყო მინდობით აღზრდის სახელმწიფო ქვეპროგრამაში³ ჩართულ ოჯახებში არსებული მდგომარეობის შესაბამისობის დადგენა მინდობით აღზრდის მომსახურების სტანდარტებთან⁴. აღნიშნული ქვეპროგრამა საქართველოში 2006 წლიდან არსებობს და უმნიშვნელოვანესი ფუნქციის მატარებელია არასრულწლოვანთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში. პროგრამის მიზანია ბენეფიციარების ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ და ინკლუზიურ სააღმზრდელო პირობებში განთავსება და შემდგომი ზრუნვა.

2018 წლის განმავლობაში მინდობით აღზრდის 259 ახალი შემთხვევა დარეგისტრირდა, სახელმწიფო ქვეპროგრამაში კი, სულ 1440 ბენეფიციარი იყო ჩართული.⁵ მონიტორინგის ფარგლებში, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა, ვიზიტები განხორციელეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოებსა და ქვეპროგრამაში ჩართულ 128 ოჯახში.

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ არასრულწლოვანთა ბიოლოგიური ოჯახიდან გამოყვანისა და სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების ძირითადი მიზეზი კვლავ ბიოლოგიური ოჯახების მძიმე სოციალური/ეკონომიკური მდგომარეობა, სიღარიბე და ცხოვრების არასათანადო პირობები, უგულვებელყოფისა და ძალადობის შემთხვევათა სიმრავლეა. ამასთან, კვლავ იკვეთება ოჯახის გაძლიერებაზე ორიენტირებული სახელმწიფო სერვისების ნაკლებობა.

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ კვლავ პრობლემად რჩება მინდობით აღზრდაში მყოფი ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციის სერვისებში ჩართვა, მინდობით

³ 2017 წლის 29 დეკემბრის „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ №601 დადგენილება.

⁴ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 7 ნოემბრის №01-238/ო ბრძანებით დამტკიცებული მინდობით აღზრდის მომსახურების სტანდარტები.

⁵ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კორესპონდენცია №04/1516, 16/01/2019.

აღმზრდელ მშობელთა ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი რთული ქცევის მართვისა და პრევენციის კუთხით, ბენეფიციარებთან სოციალური მუშაკების რეგულარული ურთიერთობის სიმწირე და სხვ.

მინდობით აღზრდის იმ ოჯახების უმრავლესობაში, სადაც მონიტორინგი განხორციელდა, შექმნილია არასრულწლოვნის განვითარებისთვის საჭირო საყოფაცხოვრებო პირობები, ბენეფიციართა 94.3% ჩართულია სკოლამდელი თუ სასკოლო სწავლების პროცესში, არასრულწლოვანთა 97.5%-ს კი, ხელი მიუწვდება პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე.

1. ინფორმაცია მომსახურების შესახებ


1.1. ბავშვის მინდობით აღმზრდელ ოჯახში განთავსება და მხარეების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ მინდობით აღზრდის სერვისში განთავსებისას აღმზრდელების უმრავლესობა ნაკლებად იყო ინფორმირებული ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის, ბიოლოგიური ოჯახიდან გამოყვანის მიზეზებისა და მათ მიმართ ჩადენილი ძალადობის შემთხვევების შესახებ. ამასთან, არ ფლობდნენ სათანადო უნარებს ბენეფიციარებისთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მზრუნველობის შესატავაზებლად. შესაბამისად, აღმზრდელებს არ ჰქონდათ სრული მზაობა შეექმნათ არასრულწლოვნებზე მორგებული გარემო და უზრუნველყოთ ისინი შესაფერისი მხარდაჭერით.

მონიტორინგის ფარგლებში შეფასებული ოჯახების უმრავლესობაში (88.5%) ინახება მოქმედი ინდივიდუალური განვითარების გეგმები და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებები. თუმცა ყველა აღმზრდელი არ ერთვება ინდივიდუალური განვითარების გეგმის შედგენის პროცესში, ნაწილი კი საერთოდ არ არის ინფორმირებული გეგმაში გაწერილი ღონისძიებების შესახებ. გამოვლინდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მიძღვნილი მშობელს, ინდივიდუალური განვითარების გეგმით, არასრულწლოვნის შესაბამისი სპეციალისტის მომსახურებით უზრუნველყოფა ევალებოდა, თუმცა ამის შესახებ აღმზრდელი ინფორმირებული არ ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური განვითარების გეგმებში გაწერილი ღონისძიებები ზოგადი ხასიათისაა და კონკრეტული ბენეფიციარის ინდივიდუალურ საჭიროებებს არ შეესაბამება. აღმზრდელებისგან განსხვავებით, ბენეფიციარების უდიდესი ნაწილი საერთოდ არ იცნობდა გეგმას და არც გეგმის გადასინჯვის პროცესში მონაწილეობდა. სოციალურ მუშაკთა ინტერვიუების შედეგად კი, მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (98.60%), ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესახებ ბენეფიციართა და აღმზრდელთა ინფორმირების საკითხი მხოლოდ პოზიტიურ კონტექსტში წარმოაჩინა.

ცხრილი №1: ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესახებ ინფორმაციის ფლობა, მის შედგენასა და გადასინჯვაში მონაწილეობა



1.2. კონფიდენციალობის დაცვა

მიმღები ოჯახების ნაწილს (18,40%) არ ჰქონდა სათანადო ინფორმაცია ბავშვის პერსონალური მონაცემების, ბიოლოგიური ოჯახიდან გამოყვანის მიზეზების, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემების და სხვა სახის საკითხთა კონფიდენციალობის შესახებ. ოჯახებში ვიზიტისას, უმრავლეს შემთხვევაში, აღმზრდელები არ ითხოვდნენ და არ ეცნობოდნენ სახალხო დამცველის რწმუნებას და არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას ღიად გასცემდნენ. ამასთან, გასაუბრებისას ბენეფიციართა უმრავლესობა (76,60%) არ ფლობდა ინფორმაციას მათთან დაკავშირებული მონაცემების კონფიდენციალობის შესახებ.

აღნიშნულისგან განსხვავებით, სოციალური მუშაკების უმრავლესობის (95,50%) განცხადებით, ისინი მინდობით აღმზრდელებს და ბენეფიციარებს საქმის კურსში აყენებენ ინფორმაციის კონფიდენციალობასთან დაკავშირებით.

1.3. მომსახურების ინკლუზიურობა

ბენეფიციართა 91.7% მიიჩნევს, რომ მიმღებ ოჯახში გათვალისწინებულია მისი ეთნიკური და რელიგიური კუთვნილება, ასევე, სოციალური თავისებურებებიც. მონიტორინგის შედეგების თვისობრივი ანალიზიდან კი იკვეთება, რომ ბენეფიციარებისთვის მინდობით აღმზრდელი

ოჯახის შერჩევასა ყოველთვის ვერ ხერხდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება.⁶

გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც მიმღებ ოჯახთა რაოდენობის სიმცირის გამო, ბენეფიციარებს განათავსებდნენ ისეთ ტერიტორიულ ერთეულში, სადაც მათი სათანადო სამედიცინო თუ სარეაბილიტაციო მომსახურება არ იყო უზრუნველყოფილი.⁷ ასევე, მიმღებ ოჯახთა სიმცირის გამო, იმ მიმღებ ოჯახებში, სადაც განხორციელდა მონიტორინგი, სოციალური მუშაკების განმარტებით, ბენეფიციარების 22.4% ბიოლოგიური ოჯახისგან მოშორებით, სხვა ქალაქში/რაიონში/რეგიონში მცხოვრებ მინდობით აღმზრდელ ოჯახში განათავსეს.

მონიტორინგის შედეგებით ირკვევა, რომ ყველა მინდობით აღმზრდელმა მხოლოდ ერთჯერადად გაიარა გადამზადება - მინდობით აღმზრდელთა სავალდებულო ტრენინგ-კურსი, რაც არ აძლევს მათ საშუალებას, სათანადოდ უპასუხონ არასრულწლოვანთა ასაკის მატებასთან ერთად წამოჭრილ ახალ გამოწვევებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მინდობით აღმზრდელებს ესაჭიროებათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე სათანადო ზრუნვის განსახორციელებლად საჭირო ცოდნისა და გამოცდილების მიღება.

1.4. უკუკავშირისა და გაპროტესტების პროცედურები

უკუკავშირისა და გაპროტესტების პროცედურები გულისხმობს არასრულწლოვნის უფლებას, გამოხატოს საკუთარი შეხედულება და აზრი მიმღებ ოჯახში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, რაც უფლებამოსილმა პირმა უნდა გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.


ბენეფიციარები საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ სოციალური მუშაკები ხელს უწყობენ, რომ ჰქონდეთ უკუკავშირისა და პროტესტის გამოთქმის საშუალება, მათ შორის, მინდობით აღზრდის ხარისხის შესახებ. თუმცა მონიტორინგისას აღმოჩნდა, რომ აღნიშნული საკითხების უზრუნველყოფა გვიანდება. ხშირ შემთხვევაში, სოციალური მუშაკები, გადატვირთულობის გამო, ვერ ახერხებენ ოჯახებში სისტემატური გეგმიური და არაგეგმიური ვიზიტების

⁶ ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში დარეგისტრირებული ოჯახების სიმცირე, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია სერვისის შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობით და ქვეპროგრამით გათვალისწინებული ანაზღაურების სიმცირით. თუმცა, დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის წინამდებარე მონიტორინგის შემდგომ პერიოდში შშმ არასრულწლოვნების მინდობით აღზრდის ანაზღაურება 900 ლარი გახდა.

⁷ ერთ შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვანი კახეთიდან რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში გადაიყვანეს.

განხორციელებას და არასრულწლოვანთან საფუძვლიან გასაუბრებას, რათა გაეცნონ ბავშვების მოსაზრებასა და დამოკიდებულებას მათ ზრუნვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.⁸

ცხრილი №2: ბენეფიციართა შესაძლებლობა, გამოხატონ უკუკავშირი და პროტესტი



შესაბამისად, შემოწმების შედეგების მიხედვით, მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში განუხრელად არ არის უზრუნველყოფილი არასრულწლოვანთა ჩართულობა, მათი აზრის გათვალისწინება და ზრუნვასთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მონაწილეობა. ეს შესაძლოა დავუკავშიროთ როგორც სოციალური მუშაკების სამუშაო დატვირთულობასა და რესურსის ნაკლებობას, ისე ბავშვების არაინფორმირებულობას.⁹

1.5. მომსახურებიდან გასვლა და მომსახურების ცვლილება

კვლევის პროცესში პრობლემები გამოვლინდა მომსახურებიდან გასვლისა და მომსახურების ცვლილებასთან დაკავშირებით. მინდობით აღმზრდელი და სოციალური მუშაკი არასრულწლოვანს სრულად არ ამზადებენ მომსახურებიდან გასვლისთვის, იქნება ეს სხვა

⁸ მინდობით აღმზრდელთა მხოლოდ 57.1% აღნიშნავს, რომ სოციალური მუშაკები მათ ოჯახებში ახორციელებენ ყოველთვიურ ვიზიტებსა და ინდივიდუალურ გასაუბრებას ბავშვებთან; გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც მიმღებ ოჯახში ვიზიტისას სოციალური მუშაკი მხოლოდ აღმზრდელს ესაუბრება.

⁹ გამოვლინდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბენეფიციართა მხრიდან მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხების გაპროტესტების შემდგომ, მათ შორის ძალადობის სავარაუდო შემთხვევაში, სოციალურ მუშაკს არ მოუხდენია სათანადო რეაგირება, ალტერნატიულ მიმღებ ოჯახებში ბავშვის განთავსების შეუძლებლობის გამო.

მომსახურებაში გადასვლა, ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, გაშვილება, დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება თუ სხვ. მომსახურებიდან გასვლისას ბავშვები არ ფლობენ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს, კერძოდ, ბენეფიციარებს, მათ შორის, არც სრულწლოვნებს აქვთ სათანადო განათლება, არ არიან დასაქმებულნი, ფინანსურად დამოუკიდებელნი და არ ჰყავთ თანადგომის ქსელი, ხოლო ბიოლოგიურ ოჯახებში არ არის მზაობა მათ მისაღებად.

სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლის საკითხი, რიგ შემთხვევებში არ ემყარება არასრულწლოვანთა საჭიროებების საფუძვლიან შეფასებას. მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციით, რიგ შემთხვევებში რეინტეგრაციის საფუძველი ბიოლოგიური ოჯახის მოთხოვნა ან მუქარაა. ასეთ შემთხვევებში, არასრულწლოვანი ოჯახში ბრუნდება, მიუხედავად იმისა, აღმოიფხვრა თუ არა მისი სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების საფუძველი. შემოწმების პროცესში ასევე გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ზრუნვის ფორმის შეცვლის გადაწყვეტილება არ იყო ბავშვის ინტერესებზე ორიენტირებული. რიგ შემთხვევებში მიმღები მშობლები ვერ აცნობიერებენ არასრულწლოვნების ფსიქო-ემოციურ საჭიროებებს, მიჯაჭვულობის საკითხს და იმ სტრესს, რაც მომსახურების ცვლილებას შეიძლება მოჰყვეს.¹⁰

2. ემოციური განვითარება და ძალადობისგან დაცვა

მონიტორინგის შედეგების თანახმად, მიმღებ ოჯახებში პრობლემურ საკითხად დგას ქცევის მართვის პოზიტიური მეთოდების გამოყენება და არასრულწლოვანთა ემოციური მხარდაჭერა, ხოლო სოციალური მუშაკების მხრიდან ნაკლებია ძალადობის პრევენციასა და გამოვლენაზე მუშაობა. ამასთან, ძალადობაგანცდილ ბავშვებთან არ ტარდება სათანადო სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიუხედავად ამისა, რესპონდენტთა უმრავლესობა, კერძოდ, ყველა სოციალური მუშაკი და აღმზრდელთა 93.7% აცხადებს, რომ ბენეფიციარი მიმღებ ოჯახში დაცულია ფიზიკური ძალადობისგან.

აღმზრდელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არასრულწლოვანთა ქცევის სამართავად წახალისების ფორმებს იყენებს, ხელს უწყობს ბავშვების თანატოლებთან ურთიერთობას, დაჰყავს ისინი ნათესაურ შეკრებებსა თუ დღეობებზე და რთავს მათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რასაც ეთანხმება არასრულწლოვანთა 76.4%.

გამოკითხულ არასრულწლოვანთა ნაწილი (24.2%) საუბრობდა ფაქტებზე, როდესაც მიმღებმა მშობელმა მასზე ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად იძალადა. გამოვლინდა ყურის აწევის,

¹⁰ ერთ-ერთ შემთხვევაში, არასრულწლოვნების მიმღებ ოჯახში ყოფნიდან 6 წლის შემდეგ, ოჯახმა მოითხოვა ბავშვების სხვა ოჯახში გადაყვანა, რადგან მათი შვილი დაოჯახდა და არ სურდათ მათ რძალს „უცხო მამაკაცებთან“ ერთად ეცხოვრა.

კუთხეში დაყენების, თმის მოქაჩვის, თავში წამორტყმის, ყვირილისა და ოთახში ჩაკეტვის შემთხვევები. აღსანიშნავია ისიც, რომ ბენეფიციარებთან ინტერვიუების მიხედვით, პრობლემურია აღმზრდელების მიერ ბენეფიციართათვის მომავლის პოზიტიური ხედვის ჩამოყალიბებაში ხელის შეწყობა. დაბალია ბავშვების თვითშეფასება, რაც ასევე აისახება მათ მოტივაციაზე, სამომავლო გეგმების დასახვასა და მათ შესრულებაზე. სოციალური მუშაკების დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებითაც განსხვავდება. მათი აბსოლუტური უმრავლესობა მიუთითებს, რომ მინდობით აღმზრდელი ხელს უწყობს ბენეფიციარის პოზიტიური თვითაღქმისა და თვითშეფასების ჩამოყალიბებას.

მინდობით აღმზრდელები ნაკლებად არიან ინფორმირებული, როგორ უნდა იმუშაონ რთული ქცევის მქონე ან ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან. იკვეთება აღმზრდელების სტერეოტიპული დამოკიდებულებაც, როდესაც, მაგალითად, ბავშვის რთულ ქცევას უკავშირებენ მის გენეტიკას და არასრულწლოვნებზე საუბრისას გამოიყენება ისეთი ფრაზები, როგორიცაა „ამათ გენში აქვთ“, „ამისგან მეტს არც ველი“, „ამ კატეგორიის ბავშვები“ და სხვ.¹¹ აღმზრდელებისთვის პრობლემურია ფსიქოლოგიური ძალადობის გამოვლენაც. გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც ბავშვის ქცევის სამართავად აღმზრდელი მას სხვა მინდობით ოჯახში გადაყვანით ემუქრებოდა.

აღსანიშნავია, რომ აღმზრდელთა 32.5%-მა არ იცის სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის ცხელი ხაზის ნომერი და სურვილის შემთხვევაში, ვერ მოახერხებენ დამოუკიდებლად დაკავშირებას. 35% კი ნაწილობრივ ფლობს აღნიშნულ ინფორმაციას, კერძოდ, იცის მხოლოდ საპატრულო პოლიციის ნომერი. ამდენად, ბენეფიციარებს, მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტის შემთხვევაში, შესაძლოა, შეეზღუდოთ შესაბამისი ორგანოებისგან დახმარების აღმოჩენა. არასრულწლოვნების 45.1% აცხადებს, რომ მინდობით აღმზრდელის უნებართვოდ და მისგან დამოუკიდებლად არ შეუძლია სოციალურ მუშაკთან დაკავშირება, თუმცა აღნიშნულს ადასტურებს მინდობით აღმზრდელთა მხოლოდ 22%.

მნიშვნელოვანია, რომ ძალადობის ექვსი შემთხვევაში, მინდობით აღმზრდელთა 10.9%-ის განცხადებით, არ დაუკავშირდებიან სოციალურ სამსახურს ან საპატრულო პოლიციას. აღმზრდელთა 15.4%-ის განმარტებით კი, შესაძლოა, არც აცნობონ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბენეფიციარისათვის საზიანო ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სოციალური ვითარების შესახებ. მსგავსი შემთხვევების გამოვლენას და მათზე სათანადო რეაგირებას არც სოციალური მუშაკები ახდენენ. ამის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი

¹¹ ერთ-ერთი მინდობით აღმზრდელი პოზიტიურად აღიქვამდა იმ საკითხს, რომ სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებულ რუსული წარმოშობის, სწავლაში წარმატებულ არასრულწლოვანს „პატარა პუტინი“ შეარქვეს.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მწირი რესურსია, რაც ოჯახებში გეგმიური თუ არაგეგმიური ვიზიტების განხორციელებას ართულებს. ეს ყოველივე არასრულწლოვან ბენეფიციართა საუკეთესო ინტერესების დაცვაზე უარყოფითად აისახება.

3. განათლება და ფსიქოსოციალური განვითარება

3.1. განათლება

მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა, რომ გამოკითხულ მინდობით აღსაზრდელთა 94.3% სარგებლობს სკოლამდელი აღზრდისა და საბაზისო განათლების მიღების უფლებით. ხშირ შემთხვევაში, აღმზრდელის აქტიური ჩართულობით, არასრულწლოვნებმა, რომლებსაც გარკვეული პრობლემები ჰქონდათ სასწავლო მასალის ათვისებისა და მოტივაციის კუთხით, დროთა განმავლობაში მკვეთრი პროგრესი განიცადეს.

ამასთან, მონიტორინგის შედეგების ანალიზიდან იკვეთება, რომ მინდობით სერვისში ოთხზე მეტი აღსაზრდელის განთავსების შემთხვევაში, ძირითადი პრიორიტეტი არასრულწლოვნების კვებისა და ბაზისური საცხოვრებელი პირობების დაკმაყოფილებას ენიჭება, ხოლო შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა განათლების საკითხებს; გამოიკვეთა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც აღმზრდელი არ ფლობდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ინდივიდუალური განვითარების გეგმაში გაწერილი იყო ბენეფიციარის რეპეტიტორთან მომზადების საჭიროება. შესაბამისად, ეს მოთხოვნა არ შესრულებულა.

საგულისხმოა ისიც, რომ აღმზრდელთა განცხადებით, ბენეფიციარების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულების მიზნით, მათი 50.5% თანამშრომლობს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. სოციალური მუშაკების 21.7% მიუთითებს არასრულწლოვნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების პრობლემაზე. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სკოლაში სპეციალური პედაგოგის არარსებობის გამო, ვერ მოხერხდა არასრულწლოვნის აღნიშნულ პროცესში ჩართვა.

მდგომარეობა მწვავეა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მიმართებით. ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში გამოვლინდა 3 შემთხვევა, როდესაც შშმ ბავშვებს სკოლამდელი და სასკოლო განათლების მიღების უფლება დამხმარე მოწყობილობების, კერძოდ, ეტლის არქონის გამო, ეზღუდებოდათ.¹²

¹² სახალხო დამცველის აპარატი დაიწყო აღნიშნული საკმეების შესწავლა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით, ბენეფიციართა სავარძელ-ეტლით უზრუნველყოფის საკითხის გადასაჭრელად, მიმდინარეობდა მუშაობა შშმ ბავშვების სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის, სავარძელ-ეტლების უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით. აპარატი განაგრძობს აღნიშნული საკითხების შესწავლას.

გამოკითხული არასრულწლოვნების 43.6%-ის მიხედვით, პრობლემურ საკითხად რჩება არაფორმალური განათლების მიღება, რასაც სოციალური მუშაკების მხოლოდ 14.5% ადასტურებს. აღნიშნული საკითხი უპირველესად ფინანსების სიმწირესთან და სხვადასხვა საგანმანათლებლო და სპორტული წრეების ხელმისაწვდომობის პრობლემასთან არის დაკავშირებული, რაც განსაკუთრებით მწვავეა სოფლებში. მონიტორინგისას ასევე გამოიკვეთა, რომ თავად აღმზრდელი ვერ აფასებდა არაფორმალური განათლების მიღების მნიშვნელობას არასრულწლოვნის განვითარებისთვის.

3.2. სოციალური უნარების განვითარება

არასრულწლოვანთა უმრავლესობა (91.8%) მიიჩნევს, რომ მიმღებ ოჯახში განთავსების შემდეგ შეიძინა და განივითარა სოციალური და ყოფითი უნარ-ჩვევები, ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად არის ჩართული ოჯახის სოციალურ აქტივობებში, საოჯახო საქმეებში და მონაწილეობს მათთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის პროცესში.

უნდა აღინიშნოს გოგო ბენეფიციარების საოჯახო საქმეებით დატვირთვის საკითხი. მონიტორინგისას გამოიკვეთა ორი შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვანი გოგოები პატარა ასაკიდან აქტიურად მონაწილეობენ სახლის დალაგებაში, საჭმლის მომზადებაში, ყოველი საუზმის, სადილისა და ვახშმის შემდეგ ჭურჭლის რეცხვაში, თეთრეულის გამოცვლასა და ბავშვების მეცადინეობაში.

მიუხედავად იმისა, რომ მინდობით აღმზრდელ ოჯახებში ბენეფიციარებს უვითარდებათ თვითმოვლისა და სოციალური უნარ-ჩვევები, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ბავშვები არ არიან მზად სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

3.3. ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობა

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა დედმამიშვილების ერთსა და იმავე მიმღებ ოჯახში განთავსებისა და ბიოლოგიურ ოჯახთან მათი ურთიერთობის ხელშეწყობის საკითხებიც შეაფასეს. აღსანიშნავია, რომ სოციალური მუშაკების 65.4%-ის განცხადებით, ბენეფიციარები განთავსებული არიან დედმამიშვილებთან ერთად, მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ხოლო, გამოკითხული არასრულწლოვნების უმრავლესობა (93.9%) აღნიშნავს, რომ მიმღები ოჯახი ხელს უწყობს მათ ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობას, რასაც ეთანხმება აღმზრდელთა 79.7%.

მონიტორინგის შედეგები ასევე ცხადყოფს, რომ სოციალური მუშაკები სათანადოდ არ აფასებენ, წარმოადგენს თუ არა ყოველ მოცემულ ეტაპზე ბიოლოგიურ მშობელთან

ურთიერთობა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს.¹³ ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობას აბრკოლებს მიმღები ოჯახის ტერიტორიული სიშორეც, რაც მინდობით აღზრდის მსურველ ოჯახად დარეგისტრირებული ოჯახების სიმცირით აიხსნება.

4. უსაფრთხო ფიზიკური გარემო

მინდობით აღზრდელთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ბენეფიციარებისთვის შექმნილია უსაფრთხო ფიზიკური გარემო. თუმცა გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვანთა საძინებელი მათ სქესსა და ასაკს არ შეესაბამებოდა, რამდენიმე არასრულწლოვანს არ ჰქონდა ინდივიდუალური სამეცადინო კუთხე. მონიტორინგისას ასევე გამოიკვეთა სამი შემთხვევა, როდესაც მიმღებ ოჯახში არსებული ზოგადი საცხოვრებელი გარემო, გარდა მინდობით აღზრდელის ოთახისა, იყო კეთილმოწყობილი და გარემონტებული. მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც ბავშვები ნესტიან და სხვა ოთახებისგან განსხვავებით, ნაკლებად კომფორტულ გარემოში ცხოვრობდნენ.

განსაკუთრებით პრობლემურია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებისთვის მათზე მორგებული ადაპტირებული გარემოს შექმნა და მათი უზრუნველყოფა საჭირო დამხმარე მოწყობილობებით. ბენეფიციარების 32% საჭიროებისამებრ არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი დამხმარე საშუალებებით, ხოლო ოჯახების 8,3%-ში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებს არ აქვთ საცხოვრებლის გარეთ გადაადგილების საშუალება.

ამ კუთხით საგულისხმოა სოციალური მუშაკების ჩართულობისა და მათ მიერ არასრულწლოვანთა საჭიროებების სრულყოფილი შეფასების საკითხი; გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ აღზრდელები არასაკმარისად არიან ინფორმირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციართათვის დამხმარე მოწყობილობებითა და სახელმწიფო სარეაბილიტაციო კურსებით უზრუნველყოფის შესაძლებლობის შესახებ.

საგულისხმოა არასრულწლოვან ბენეფიციართა დასვენებისა და გაჯანსაღების რეგულირების საკითხიც. კახეთის რეგიონში ერთი ბენეფიციარი დაახლოებით 7 წლის განმავლობაში არსად ყოფილა დასასვენებლად, რის შესახებაც ინფორმირებული იყო სოციალური მუშაკი. მისი თქმით, მინდობით აღზრდელს არ უყვარს მგზავრობა, ხოლო ბენეფიციარს დასასვენებლად მარტო ვერ გაუშვებდა.

¹³ ერთ-ერთ ოჯახში, მინდობით აღზრდელის აზრით, მამა, რომელიც რეგიონული საბჭოს მიერ შვილების მნახველ პირად იქნა დარეგისტრირებული, არ იმსახურებდა ნდობას, რადგან არსებობდა მისი მხრიდან შვილებზე ძალადობის ალბათობა. აღნიშნული განსაკუთრებით საგულისხმოა, როდესაც ხდება ბავშვების გამყვანი პირის დარეგისტრირება.

5. ჯანმრთელობის დაცვა და კვება

სოციალური მუშაკებისა და აღმზრდელების განცხადებით, ბენეფიციართა დიდ უმრავლესობას ბიოლოგიური ოჯახიდან გამოყვანისას ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები ჰქონდა;¹⁴ ბავშვების მკურნალობა საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, რასაც აღმზრდელი, მოცემული შესაძლებლობებით, ყოველთვის ვერ ახერხებს, თუმცა ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან პირველადი ჯანდაცვის მომსახურებით.

პრობლემად რჩება საჭირო სპეციალიზაციის მქონე მუშაკთა, ფსიქოლოგთა და ფსიქიატრთა ნაკლებობა, განსაკუთრებით რეგიონებში, რის გამოც აღმზრდელებსა და სოციალურ მუშაკებს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბენეფიციართა ქცევის მართვა საკუთარი ძალებით უხდებათ. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ძირეული პრობლემის აღმოფხვრასთან, არამედ მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციასთან დროებით გამკლავებასთან. შესაბამისად, არის შემთხვევები, როდესაც არასათანადო მუშაობის შედეგად გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფსიქიკური პრობლემების გამო, ბენეფიციარი სხვა მიმღებ ოჯახში ან მცირე საოჯახო ტიპის სახლში გადაიყვანეს.

მიმღებ ოჯახში მონიტორინგის შედეგების თანახმად, გამოკითხული აღმზრდელების 97.5% მიიჩნევს, რომ ბავშვები უზრუნველყოფილი არიან ჯანსაღი კვებით, რასაც ადასტურებს არასრულწლოვანთა 89.4%, თუმცა ნაკლები ბენეფიციარი აღნიშნავს, რომ კვების პროცესში გათვალისწინებულია მათი სურვილი და ჯანმრთელობის მდგომარეობა (86.1%). მიუხედავად ამისა, მონიტორინგის თვისობრივი კომპონენტის ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ დაბალია აღმზრდელების ინფორმირებულობის დონე დაბალანსებული, ჯანსაღი კვების საკითხზე, რაც შესაძლოა, რიგ შემთხვევაში, საფრთხეს უქმნიდეს არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის მდგომარეობას.

რეინტეგრაციის სახელმწიფო სერვისის მონიტორინგი

რეინტეგრაციის პროცესი გულისხმობს სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებული ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან/მზრუნველთან დაბრუნებას, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. სახელმწიფო ზრუნვის სისტემის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი სწორედ რეინტეგრაციის ქვეპროგრამაა, რადგან ამ სერვისის მიწოდების მიზანი, არასრულწლოვნის სახელმწიფო ზრუნვაში ხელმეორედ განთავსების რისკის მინიმუმამდე შემცირებაა.

¹⁴ მონიტორინგის დროს გამოვლინდა ფაქტი, როდესაც სამი მცირეწლოვანი და-ძმა მუნის მიმღე მდგომარეობით ჩართეს მინდობით აღზრდის პროგრამაში. ბავშვების რეაბილიტაციას თითქმის ერთი წელი დასჭირდა, როდესაც სოციალური მუშაკი და მინდობით აღმზრდელი ინტენსიურად უზრუნველყოფდნენ ბავშვების მკურნალობას.

2018 წლის განმავლობაში, რეინტეგრაციის 123 ახალი შემთხვევა დარეგისტრირდა და ჯამში სახელმწიფო ქვეპროგრამაში სულ 470 ბენეფიციარი იყო ჩართული.¹⁵ სახალხო დამცველის აპარატმა სერვისის მონიტორინგის მიზნით, რეინტეგრაციის სახელმწიფო ქვეპროგრამაში ჩართული 68 ოჯახი მოინახულა.

ჩატარებული მონიტორინგისას გაირკვა, რომ ბავშვების ბიოლოგიური ოჯახიდან გაყვანისა და სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების ძირითადი საფუძველი იყო მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა (44.4%), საცხოვრებლის არქონა (13.3 %), უგულვებელყოფა (6.7 %) და ძალადობა (4.4%).¹⁶

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ ოჯახებში, სადაც რეინტეგრაციის პროგრამა ხორციელდება, გამოწვევად რჩება არასრულწლოვანთა საჭიროებების სათანადოდ დაკმაყოფილება და მათთვის მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა. პრობლემები იკვეთება ზოგადი და პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის კუთხითაც. მნიშვნელოვანია, რომ სოციალური მუშაკები ვერ ახერხებენ ძალადობის შემთხვევების გამოვლენას და პრევენციას, რაც სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, საზოგადოებში აღზრდის შესახებ არსებულ მცდარ სტერეოტიპებს უკავშირდება.


1. ინფორმაცია მომსახურების შესახებ

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ რეინტეგრაციის პროგრამასთან დაკავშირებული ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესახებ ინფორმირებულობა, არასრულწლოვნებსა და მათ მშობლებში, საკმაოდ დაბალია. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებები კი, ოჯახების მხოლოდ 62.3%-ში ინახება.

ცხრილი №1: ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესახებ ინფორმაციის ფლობა


¹⁵ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კორესპონდენცია №04/1516, 16/01/2019.

¹⁶ სხვა გარემოებები, რის გამოც არასრულწლოვნები სახელმწიფო ზრუნვაში განათავსეს: მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გარდაცვალება (4.4%), მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის მიტოვება (11.1%), მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობა (4.4%); მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში განთავსება (2.2%), და ა.შ.



ინდივიდუალური განვითარების გეგმებში გაწერილი ღონისძიებები ზოგადი ხასიათისაა და ბენეფიციართა ინდივიდუალურ საჭიროებებს არ შეესაბამება; იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისახება კონკრეტული ამოცანები, ბიოლოგიური ოჯახების მხოლოდ 35% ახერხებს მათ შესრულებას, 25% - ნაწილობრივ, ხოლო ოჯახების 31.7%-ში აღნიშნული მონაცემის შეფასება საერთოდ ვერ მოხერხდა. ზემოაღნიშნული შედეგების მიუხედავად, სოციალური მუშაკები მკვეთრად პოზიტიურად აფასებენ რეინტეგრაციის სერვისის გამართულობასა და ინდივიდუალური მიდგომის საკითხს. სოციალური მუშაკების უმრავლესობა აცხადებს, რომ ინდივიდუალური განვითარების გეგმებში გაწერილი ღონისძიებები მთლიანად სრულდება, მუშაკთა მცირე ნაწილის აზრით კი, მხოლოდ ნაწილობრივ.

ცხრილი №2: მოსაზრება, რომ სრულდება ინდივიდუალური გეგმის ამოცანები



რეინტეგრაციის სერვისის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია ბიოლოგიური ოჯახის მხარდაჭერა, როგორც რეინტეგრაციამდე, ისე რეინტეგრაციის შემდეგ. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის მიერ მონიტორინგის ხშირად ჩატარება და ოჯახის გაძლიერებაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელება. სოციალური მუშაკების

91.7% აცხადებს, რომ ოჯახებში მათ ვიზიტს ყოველთვიური ხასიათი აქვს, რასაც მშობლების მხოლოდ 77% და არასრულწლოვნების 50% ადასტურებს¹⁷.

მონიტორინგისას ყურადღება გამახვილდა რეინტეგრაციის განხორციელებამდე ბიოლოგიური ოჯახის შესაძლებლობების სრულყოფილი და ობიექტური შეფასების, მათ გაძლიერებაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებისა და მშობლის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობის საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ მშობლის უნარ-ჩვევების განმავითარებელ ტრენინგებში, რომლებიც მხოლოდ რამდენიმე მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს, მშობლები არასრულწლოვნების ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების შემდეგ ერთვებიან; საგულისხმოა სახელმწიფო სერვისების, კერძოდ ოჯახის გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამების, ტრენინგების, დღის ცენტრების, უფასო სასადილოების, არასრულწლოვნებისთვის განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობი ცენტრების სიმცირე და მათი არაერთგვაროვნება ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, რის გამოც სახელმწიფოში არ არსებობს ერთიანი მიდგომა და მდგრადი მუშაობის სტრატეგია ბიოლოგიური ოჯახების გასაძლიერებლად.

2. ემოციური განვითარება და ძალადობისგან დაცვა

კვლევის შედეგების მიხედვით, არასრულწლოვნების უმრავლესობა (84.8%) მიუთითებს, რომ იღებს საჭიროებების შესაბამის სულ მცირე ბაზისურ ზრუნვასა და მეთვალყურეობას. თუმცა იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ინდივიდუალური განვითარების გეგმასთან დაკავშირებით გარკვეული ხარვეზები, მათ შორის, დაბალი ინფორმირებულობა გამოვლინდა, სრულიად ლოგიკურია, რომ მშობლების მხოლოდ 44.1%-მა იცის ბენეფიციარზე ზრუნვის შესახებ გეგმაში მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობების შესახებ.

რაც შეეხება არასრულწლოვნების ძალადობისგან დაცულ გარემოში ცხოვრებას, გამოკითხული მშობლების 78.3% მიიჩნევს, რომ ცდილობს ბავშვების მიმართ ქცევის მართვის პოზიტიური ფორმების გამოყენებას. ხოლო არასრულწლოვნების 89.1% თავს დაცულად გრძნობს, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ძალადობისგან. მონიტორინგისას გამოვლინდა ბავშვების მიმართ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტები, რასაც არასრულწლოვნები შემდეგნაირად აღწერდნენ - „*მიყვირის, სიტყვიერ შეურაცხყოფას მაყენებს, ყურს მიწევს, ფიზიკურად მეხება*“.

მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ რეინტეგრირებულ ოჯახებში პრობლემურია სოციალური მუშაკების მიერ ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და პრევენცია, რაც

¹⁷ მონიტორინგისას აღმოვაჩინეთ ორი ოჯახი, სადაც სოციალურ მუშაკს დაახლოებით 7 თვის განმავლობაში არ ჰქონდა განხორციელებული ვიზიტი. ხოლო სამ ოჯახში რამდენიმე თვის წინ შედგენილი ინდივიდუალური განვითარების გეგმა სახალხო დამცველის რწმუნებულების ოჯახში ვიზიტის წინა დღეს მიიტანეს.

გამოწვეულია სოციალური მუშაკების სიმცირითა და გართულებული ტრანსპორტირებით. ამასთან, რადგანაც ბავშვი ბიოლოგიურ მშობელთან ცხოვრობს, სოციალური მუშაკები ნაკლებად ხედავენ ოჯახის მუდმივი მონიტორინგის საჭიროებას.

საგულისხმოა არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში სახელმწიფო სტრუქტურებისადმი მიმართვიანობის საკითხი. არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში გამოკითხული მშობლების მხოლოდ 63.1% დაუკავშირდება სოციალურ მუშაკს და პატრულს; გამოკითხული მშობლების მხოლოდ 71.9% მიიჩნევს, რომ სოციალური მუშაკი დროულ და ეფექტიან რეაგირებას მოახდენს ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტებზე, მაშინ, როდესაც აღნიშნულზე მიუთითებს სოციალური მუშაკების აბსოლუტური უმრავლესობა (98.4%). საგულისხმოა ისიც, რომ გამოკითხული ბავშვების 31.8%-მა არ იცის, რომელ ორგანოს მიმართოს ძალადობის შემთხვევაში.

ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების კუთხით, მნიშვნელოვანია ძალადობაგანცდილი ბავშვების მიმართ დროული და პრობლემის აღმოფხვრაზე ორიენტირებული რეაბილიტაცია. სოციალური მუშაკების 97.1% მიიჩნევს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ბენეფიციარის ფსიქოსოციალური დახმარების მიზნით, ატარებს სათანადო ღონისძიებებს. ამავე დროს, აღნიშნულს ეთანხმება გამოკითხული მშობლების მხოლოდ 65.5%. სახალხო დამცველის შეფასებით, ძალადობაგანცდილი ბავშვის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამების არარსებობის, ფსიქოლოგთა სიმცირის, იმერეთის რეგიონში კი საერთოდ არარსებობის გამო, ვერ ხერხდება რეინტეგრაციის სერვისში ჩართულ ბავშვებთან პრობლემის აღმოფხვრაზე აქტიური მუშაობა¹⁸.

3. განათლება და ფსიქოსოციალური განვითარება

სკოლამდელ და სასკოლო განათლებას იღებს რეინტეგრაციის სერვისში ჩართულ არასრულწლოვანთა 86.2%, ხოლო მათი 22% აცხადებს, რომ მშობელი არ ზედამხედველობს მის გაკვეთილებზე დასწრებას.

პრობლემები გამოიკვეთა ზოგადი და პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის, არასრულწლოვნებში მოტივაციის ამაღლებისა და არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობის კუთხითაც. მშობლების მხოლოდ 58.3% უწყობს ბავშვს ხელს პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღებაში. აღნიშნული კიდეც უფრო პრობლემურია სოფლებში

¹⁸ერთ-ერთ ოჯახში ვიზიტისას, მონიტორებს ეცნობათ, რომ ბავშვი, რომელსაც დედა დასჯის მიზნით ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა, სახლიდან რამდენჯერმე გაიქცა. აღნიშნულ შემთხვევაზე რეაგირების პროცესში ჩაერთო ფსიქოლოგი, თუმცა როგორც გაირკვა, არასრულწლოვანთან და მის მშობელთან - დედა-შვილს შორის დადებითი ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის - ინტენსიური მუშაობა არ წარმართულა.

მცხოვრები არასრულწლოვნებისთვის გართულებული ტრანსპორტირების და ფინანსების სიმწირის გამო¹⁹.

ცხრილი №3: დამოკიდებულება პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობასთან მიმართებით



რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვები, ფინანსების არარსებობის გამო, საჭიროების მიუხედავად, ვერ ემზადებიან რეპეტიტორებთან. მონიტორინგისას მშობლების 52.5%-მა განაცხადა, რომ ისინი ხელს ვერ უწყობენ არასრულწლოვნებს არაფორმალური განათლების მიღებაში. ამასვე მიუთითებენ სოციალური მუშაკებიც (27.6 %), რის ძირითად მიზეზადაც ტერიტორიულ სიშორეს, წრეების არარსებობასა და ფინანსურ პრობლემებს ასახელებენ.

ბავშვებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მათი მხოლოდ 43.5%-თვის არის ხელმისაწვდომი განვითარებისთვის საჭირო ტექნიკა და ინვენტარი - სათამაშოები, სპორტული ინვენტარი, წიგნები, ტელევიზორი.

მონიტორინგისას გამოიკვეთა, რომ რეინტეგრაციის სერვისში ჩართული ბავშვების 18.2% სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა და ჩართულია ინკლუზიური განათლების პროგრამაში. მონიტორინგის თვისობრივი ანალიზიდან იკვეთება, რომ ბავშვების ამგვარი საჭიროება, სავარაუდოდ, დგება ოჯახში ძალადობის, უგულბელებულობისა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე. ბიოლოგიურ ოჯახში არასათანადო მოპყრობა, შემდგომ კი სახელმწიფო ზრუნვის რამდენიმე ფორმის გამოცვლა და ამის შედეგად გადატანილი სტრესი აისახება აკადემიურ მოსწრებასა და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვნების 78.4%-ის განცხადებით,

¹⁹გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც ბიოლოგიურ მშობლებს სურდათ ბავშვების სახელმწიფო მზრუნველობაში დაბრუნება - ისინი ვერ ახერხებდნენ შვილებისათვის პროფესიული განათლების მიცემას.

მშობლები მათ ეხმარებიან სოციალური და ყოფითი უნარების (თვითმოვლა, საკუთარი კუთხის დალაგება, ტანსაცმლის მოწესრიგება/გარეცხვა და სხვა) განვითარებაში, მონიტორინგის პროცესში, ოჯახებში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ ბავშვები ნაკლებად ფლობენ აღნიშნულ უნარებს და არაჰიგიენურ მდგომარეობაში იმყოფებიან.

მონიტორინგისას შეფასდა არასრულწლოვანთა სოციალური და ყოფითი უნარ-ჩვევების განვითარების საკითხი და გამოიკვეთა, რომ ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი აქვს მშობლების მიერ არასრულწლოვნებისთვის თანატოლებთან ურთიერთობის ხელშეწყობას (91.1%) და ოჯახში არსებულ მჭიდრო, თბილ ურთიერთობებს ბენეფიციარსა და ოჯახის სხვა წევრებს შორის (84.8%). თუმცა, აღსანიშნავია ერთი შემთხვევა, როდესაც ბიოლოგიურ ოჯახში თავი იჩინა რეინტეგრირებული ბავშვის მიუღებლობამ დედმამიშვილის მხრიდან.

4. უსაფრთხო ფიზიკური გარემო და ჯანმრთელობა


მონიტორინგმა აჩვენა, რომ რეინტეგრაციის სერვისში ჩართულ ოჯახებში პრობლემას წარმოადგენს არასრულწლოვნების საჭიროებების სათანადოდ დაკმაყოფილება და მათთვის საბაზისო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა. ამ მხრივ საგულისხმოა ბიოლოგიურ მშობლებთან მშობლის უნარების განვითარების მიზნით სოციალური მუშაკების ინტენსიური მუშაობის საჭიროება. ამასთან, მონიტორინგის შედეგების თვისობრივი ანალიზით დადგინდა, რომ ბიოლოგიური მშობლების ნაწილი არ ფლობს საჭირო უნარს - რაციონალურად განკარგოს სახელმწიფოსგან მიღებული დახმარება, რაც პირდაპირ აისახება არასრულწლოვანთა საყოფაცხოვრებო პირობების შექმნასა და მათთვის საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. რთული მდგომარეობაა ჰიგიენის დაცვის კუთხითაც, რადგან მშობლების მხოლოდ 45.7% და ისიც ნაწილობრივ, იცავს საცხოვრებელში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს.

ვიზიტების შედეგად გამოვლინდა, რომ ბენეფიციარების უმეტესობა (60.9%) მიიჩნევს, რომ ოჯახში ფიზიკური გარემო უსაფრთხოა, ნაწილობრივ უსაფრთხოებაზე საუბრობს გამოკითხულთა თითქმის მესამედი (32.6%). მონიტორინგისას გამოიკვეთა საცხოვრებელში დაზიანებული კედლების, იატაკის, ჭერის და კარ-ფანჯრების, სველი წერტილების არარსებობის 5 შემთხვევა. საცხოვრებლების 75.6%-ში ბაზისური გათბობა სრულადაა დაკმაყოფილებული, ხოლო 22.2%-ში - ნაწილობრივ. ოჯახების უმრავლესობა იყენებს შეშის ღუმელს, თუმცა, რიგ შემთხვევებში, შეშის შესაძენად საკმარისი სახსრები არ აქვთ. საცხოვრებელში არ არის საბაზისო საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ინვენტარი, მაგალითად, მაცივარი აქვს გამოკითხული ოჯახების მხოლოდ 80%-ს, ხოლო ბავშვების მხოლოდ 68.2%-ს აქვს ინდივიდუალური საწოლი.

გამოკითხულ არასრულწლოვანთა 78.3%-ს მიაჩნია, რომ უზრუნველყოფილია ჯანსაღი კვებით, თუმცა, მონიტორინგის შედეგების თვისობრივი ანალიზიდან ირკვევა, რომ რეინტეგრაციის სერვისში ჩართული ოჯახების უმრავლესობა ვერ ახერხებს არასრულწლოვნების საჭირო კვებითი რაციონით უზრუნველყოფას, რის გამოც, მათი ნაწილი

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების უფასო სასადილოს პროგრამებით სარგებლობს, თუმცა ვერც ეს უზრუნველყოფს მათთვის არასრულწლოვნის საჭიროებების შესაბამისი საკვების მიწოდებას. საგულისხმოა გამოკითხული მშობლების კომენტარები: „უფასო სასადილოდან მოგვაქვს საკვები“, „ხშირად შიმშილობენ“, „საკვებს ვალად ვიღებთ მაღაზიიდან“, „უსახსრობის გამო ვერ ხერხდება კვების სათანადოდ უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ზამთარში, როცა შეშასაც ყიდულობს გათბობისთვის“.

ცხრილი №4: რესპონდენტების დამოკიდებულება კვებისა და ჰიგიენის საკითხების მიმართ



რეინტეგრაციის სერვისში ჩართული არასრულწლოვნების 92.3% ირიცხება სამედიცინო დაწესებულებაში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე უზრუნველყოფილია შემთხვევათა 84.4%-ში. რიგ შემთხვევებში მატერიალური პრობლემების გამო ვერ მოხერხდა საჭირო სამედიცინო მომსახურების მიღება²⁰.

²⁰ ორ ოჯახში მატერიალური პრობლემების გამო ვერ მოხერხდა საჭირო სამედიცინო მომსახურების მიღება. გასაუბრებისას კი, ერთმა მშობელმა აღნიშნა: „ბავშვს აქვს სუნთქვის პრობლემა, მაგრამ ამ დრომდე არ მიუყვანიათ ექიმთან“; ერთ-ერთი რეინტეგრირებული ბავშვის ოჯახს, მატერიალური მდგომარეობის გამო, ხელი არ მიუწვდებოდა ოფთალმოლოგის მომსახურებაზე. ამავე მიზეზით ვერ იღებდა სამედიცინო მომსახურებას სუნთქვის პრობლემების მქონე ბავშვიც.

5. საყურადღებო შემთხვევები

საქმე №1

ოჯახში ვიზიტისას ბავშვები, მათ შორის მცირეწლოვნები, სახლში უფროსის მეთვალყურეობის გარეშე იყვნენ დატოვებული. სახლში ჰიგიენური მდგომარეობა არ იყო დაკმაყოფილებული, ოთახში იდგა სამი საწოლი, სადაც 7 ადამიანს ეძინა. მოუწესრიგებელი იყო საპირფარეშო - შეინიშნებოდა უკიდურესი ანტისანიტარია; არასრულწლოვნებიც არაჰიგიენურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ (ინფორმაცია გამოვითხოვეთ სკოლიდანაც, საიდანაც გვეცნობა, რომ ბავშვები სკოლაში მოუწესრიგებლები დადიან); იყო შემთხვევა, როდესაც ბავშვებს ტილები ჰყავდათ, რაც საბავშვო ბაღის ადმინისტრაციის მხრიდან, პრობლემის აღმოფხვრამდე, მათი დათხოვნის საფუძველი შეიქმნა. ბავშვების სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების საფუძველი იყო მშობლის მხრიდან ერთ-ერთი ბავშვის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობა, კერძოდ, გაცხელებული კოვზით ყელის არეში დაზიანებების მიყენება და იძულებით შრომაში ჩართვა. ამასთან, ბავშვები არ იყვნენ ჩართული სკოლამდელი აღზრდისა და სასკოლო განათლების მიღების პროცესში, არც სამედიცინო მომსახურებაზე მიუწვდებოდათ ხელი. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სოციალური მომსახურების სააგენტომ არასრულწლოვნების რეინტეგრაცია მათ საუკეთესო ინტერესად მიიჩნია.²¹

საქმე №2

მონიტორინგის ფარგლებში მონიტორებმა აჭარაში მოინახულეს ოჯახი, სადაც 8 არასრულწლოვანი ცხოვრობს, მათგან 2 ჩართულია რეინტეგრაციის სერვისში, ხოლო დედა მე-9 ბავშვზეა ორსულად. ინტერვიუებისას ოჯახში 2 ჩვილის გარდაცვალების ფაქტი გამოვლინდა. უნდა აღინიშნოს, რომ დედას არც ბავშვების დაბადების თარიღები ახსოვდა და არც ჩვილთა გარდაცვალების ზუსტი მიზეზები. შეფასებამ აჩვენა, რომ არასრულწლოვნები მძიმე სოციალურ მდგომარეობაში იმყოფებიან. ოჯახი მხოლოდ უფასო სასადილოდან წამოღებული საჭმლით იკვებება. შესაბამისად, ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებები კვების კუთხით, ისევე როგორც ბაზისური ჰიგიენის თვალსაზრისით, დაუკმაყოფილებელია. წყალი დღის განმავლობაში მხოლოდ 1 საათით მიეწოდებათ, უსახსრობის გამო არც ჰიგიენისთვის საჭირო ელემენტარული ნივთების შეძენა შეუძლიათ. ერთ-ერთ ბავშვს აღნიშნება კანზე გამონაყარი. ამასთან დაკავშირებით ბავშვის დედა ამბობს, რომ ბავშვს უმკურნალა. ამ ოჯახში ბავშვებისთვის არც უსაფრთხო გარემოა უზრუნველყოფილი - გამოვლინდა ელექტროგაყვანილობასთან დაკავშირებული პრობლემა. ბავშვები არ არიან ჩართული სკოლამდელი აღზრდის სისტემაში; 5 წლის ბიჭს უჭირს მეტყველება, სიტყვების

²¹ სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს. შედეგად, პასუხისმგებელი პირების მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინარული ღონისძიება, სასტიკი საყვედური. ასევე მიიღეს გადაწყვეტილება, სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის სოციალურმა მუშაკებმა ინტენსიური მონიტორინგი გასწიონ ოჯახის გამლიერებისა და ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის დაცვის მიმართულებით.

ერთიანად წარმოთქმა (არ მიუღია ლოგოპედის მომსახურება). ბავშვების ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მათი გონებრივი განვითარების დონე მათ ასაკს არ შეესაბამება. ერთ-ერთი არასრულწლოვანი მამასთან ერთად თურქეთში იყო წასული ჩაის პლანტაციებში სამუშაოდ. დედის გადმოცემით, ბავშვების რთული ქცევის გამოვლენისას, იგი უყვირის და ფიზიკურადაც ეხება მათ. ინტერვიუებისას გაირკვა, რომ მეზობლები და კლასელები ბავშვებს ამცირებენ.²²

საქმე №3

რეინტეგრაციის ქვეპროგრამაში ჩართული 13 წლის გოგონას ოჯახში ვიზიტისას აღმოჩნდა, რომ ოჯახი, რომელიც საერთო საცხოვრებლის ერთ ოთახში ცხოვრობს, ვერ ახერხებს ჰიგიენური პირობების დაცვას; სარგებლობენ საერთო საპირფარეშოთი და სააბაზანოთი; საცხოვრებელში არ არის უზრუნველყოფილი არასრულწლოვნის განვითარებისთვის საჭირო გარემო. ბავშვს არა აქვს განვითარებული ასაკის შესაბამისი უნარები, დასმულ კითხვებს ვერ აღიქვამს და შესაბამისად, ვერც პასუხობს მათ; გასაუბრებისას გაირკვა, რომ ძმა ფიზიკურად ძალადობს დაზე. ამდენად, აღნიშნული რეინტეგრაციის ფარგლებში ვერ ხერხდება არასრულწლოვნის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესება და მის განვითარებაზე სათანადო ზრუნვა.²³

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში

მცირე საოჯახო ტიპის სახლების მომსახურება, არასრულწლოვნების ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში აღზრდას ისახავს მიზნად. რაც, ასევე ითვალისწინებს მათი საჭიროებების გამოვლენას და უზრუნველყოფას, ძალადობისგან დაცვას, მათ სათანადო განვითარებაზე ზედამხედველობას ბავშვის ინტერესზე ორიენტირებულ და უსაფრთხო გარემოში. აღნიშნული მიზნით, მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები

²² სახალხო დამცველის აპარატმა დაიწყო შემთხვევის შესწავლა; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით, ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა ოჯახის გასაძლიერებლად და მხარდასაჭერად. არასრულწლოვნებზე შესაძლო ძალადობის შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად, დაწესებულია გეგმური და არაგეგმური ვიზიტები. ასევე გვეცნობა, რომ ოჯახში განხორციელებული ვიზიტების შედეგად, გამოვლინდა ბავშვების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გამო საზოგადოებაში მათი მიუღებლობა და შესაბამისი რეკომენდაციებიც გაიცა.

²³ სახალხო დამცველის აპარატი ინდივიდუალური საქმისწარმოების ფარგლებში დღემდე შეისწავლის აღნიშნულ შემთხვევას. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით, დამმის ურთიერთობების დასარეგულირებლად, არასრულწლოვნებთან მუშაობს სოციალური მომსახურების სააგენტოს ფსიქოლოგი; ბავშვების ბიოლოგიური დედა თანამშრომლობს სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, ითვალისწინებს და შეძლებისდაგვარად ასრულებს სოციალური მუშაკის მითითებებსა და რეკომენდაციებს.

ხელმძღვანელობენ „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“²⁴ განსაზღვრული სტანდარტებით.

საქართველოში სულ 48 მცირე საოჯახო ტიპის სახლი ფუნქციონირებს, რომელშიც 2018 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით 351 არასრულწლოვანი ირიცხებოდა. ამასთან, მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზირებულ საოჯახო ტიპის მომსახურებაში ირიცხებოდა 14 ბენეფიციარი.

სახალხო დამცველის აპარატმა მონიტორინგი განახორციელა 43 მცირე საოჯახო ტიპის სახლში. მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ მომსახურების მიმწოდებლები მეტ-ნაკლებად ინფორმირებულები არიან ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესახებ, თუმცა, პრაქტიკაში აღნიშნული სტანდარტების სრულყოფილად განხორციელება კვლავ ვერ ხორციელდება.

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, წლების განმავლობაში გადაუჭრელ პრობლემად რჩება ძალადობის მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიცირება, რთული ქცევებისა და კრიზისული მდგომარეობის მართვა, ძალადობის ფაქტების პრევენცია, დროული რეაგირება და ფსიქო-სოციალური დახმარება. პრობლემურია არასრულწლოვნების ინტერესზე მორგებული საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება და ბავშვების მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. ქვეყანაში კვლავ არ არსებობს ერთიანი მიდგომა ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დაცვისა და მხარდაჭერის მიმართულებით.

განსაკუთრებული რისკის ქვეშ, უფლებრივი მდგომარეობის დაცვის კუთხით კვლავ რჩებიან შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები. გამოიკვეთა, რომ პრობლემურია როგორც აღმზრდელთა კვალიფიკაცია, ასევე, თანამშრომლობა სოციალურ მუშაკსა და მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციას შორის, რაც უზრუნველყოფდა პასუხისმგებლობის გადანაწილებას და კვალიფიციურ მომსახურებას.

1. ინფორმაცია მომსახურების შესახებ

მონიტორინგის პროცესში შემოწმდა სახლებში არსებული დოკუმენტაციის შესაბამისობა სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. ამ მიზნით, მონიტორინგმა შეისწავლეს თითოეული ბენეფიციარის პირადი საქმე და წარმოებული ჟურნალები. სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2015 წელს ჩატარებული მონიტორინგის შემდეგ დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში არსებული დოკუმენტაცია შედარებით მოწესრიგებულია. გაუმჯობესებულია ჟურნალების წარმოება. სახლებში წარმოდგენილი იყო საინფორმაციო ფურცელი, ლიცენზია, სააღმზრდელო პროგრამა, თანამშრომელთა

²⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება №66 „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“, 15/01/2014.

კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შინაგანაწესი და ბენეფიციართა პირადი საქმეები.

1.1 სახლებში არსებული დოკუმენტაცია

მონიტორინგის შედეგად, ზოგად ტენდენციად გამოიკვეთა, რომ ინდივიდუალური განვითარების გეგმები და გადასინჯვის ფორმები ფორმალური ხასიათისაა და სრულად არ ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს, დაგეგმილ აქტივობებს, არასრულწლოვნის, სოციალური მუშაკის, პროვაიდერი ორგანიზაციების ჩართულობას და ზოგადად, ზრუნვის პროცესის დინამიკას.²⁵ აქედან გამომდინარე, ბავშვების საჭიროებები ხშირ შემთხვევაში წლების განმავლობაში არ იცვლება, ხოლო დაგეგმილი და გატარებული ღონისძიებები არ არის მორგებული მათ ინტერესებზე და უმეტესად ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ამასთან, აღმზრდელები ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას, თუ რა სახის აქტივობებია გაწერილი თითოეული ბავშვისთვის ან რომელი აქტივობა ვერ შესრულდა და რა მიზეზით. მინიმალურია არასრულწლოვნების ინფორმირებულობის დონეც, რადგან ბენეფიციარების უმეტესობას მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა აქვს აღნიშნული გეგმების არსებობის შესახებ და არც ის იციან, თუ რა ტიპის ინფორმაციაა მითითებული მათთან დაკავშირებით. გადასინჯვის ფორმების ნაწილზე არ არის ბავშვების ხელმოწერები. საყურადღებოა ისიც, რომ ინდივიდუალური განვითარების გეგმებში სოციალური მუშაკის დასკვნები და რეკომენდაციები წინა გეგმებში გაკეთებული დასკვნებისა და რეკომენდაციების იდენტურია.

მსტ სახლებში არსებული დოკუმენტაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი თითოეულ ბავშვზე ზრუნვის პროცესის დინამიკის, მიღწეული შედეგებისა თუ გამოწვევების შეფასება უნდა იყოს. სამწუხაროდ, პირადი დოკუმენტაცია არ იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებებს ატარებს სახელმწიფო ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის გასაძლიერებლად, მისი სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში განთავსების შემდეგ, განსაკუთრებით, როდესაც ბავშვი სახლში სიღარიბის საფუძვლით ირიცხება. ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია პირველ რიგში ბავშვის რეინტეგრაციის შესაძლებლობის გამოსაკვეთად და შესაფასებლად, ასევე, იმ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, რაც შესაძლოა არსებობდეს ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დროებით გაყვანის პერიოდში.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა დადებითი ტენდენციებიც. კერძოდ, რამდენიმე სახლში²⁶ არსებული ინდივიდუალური გეგმები უფრო მეტად არის ინფორმაციული. ერთ-ერთ

²⁵მაგალითად, ინდ. განვითარების გეგმების ნაწილში, განათლების გრაფაში მითითებულია, რომ ბავშვს აქვს სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები, მოტივაციის ნაკლებობა. თუმცა აღნიშნული ჩანაწერები თითქმის იდენტურია წლების განმავლობაში და არ ჩანს დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასება და არც ახალი საჭიროებებია გამოკვეთილი.

²⁶ „საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი“ თბილისი; ა(ა)იპ ასოციაცია „მომავლის სხივი“ ოზურგეთი; ლანჩხუთი, სოფელი ლესა.

მსტ სახლში²⁷ თითოეული ბავშვის პირადი საქმე დაყოფილია ისეთ საკითხებად, როგორცაა სამედიცინო დოკუმენტაცია, სოციალური მიმართულება, რომელიც მოიცავს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას, ინდივიდუალური განვითარების და მომსახურების ინდივიდუალურ გეგმებს და ფსიქოლოგის ჩანაწერებს.

შემოწმებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ბენეფიციარების პირადი საქმეები დაცულია და ინახება ბავშვებისთვის ხელმიუწვდომელ ადგილას (ძირითადად, თანამშრომლების და აღმზრდელების ოთახში). ბენეფიციარების შესახებ ინფორმაციის გავრცელებამდე, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია წერილობით აცნობოს სოციალური მომსახურების ტერიტორიულ ცენტრს და მიიღოს ნებართვა. თანამშრომლების გამოკითხვა აჩვენებს, რომ ისინი იცნობენ პროცედურას.

ბავშვზე ზრუნვის რეგლამენტის პირველი სტანდარტით, მცირე საოჯახო ტიპის სახლებს ეკისრებათ ვალდებულება, აწარმოონ ბენეფიციარების შესახებ სხვადასხვა სახის ჟურნალები. აღნიშნულის მიზანია, დეტალურად აღირიცხოს ბავშვების სახლიდან დროებითი გაყვანა, ნებისმიერი სახის ძალადობის ფაქტი თუ უბედური შემთხვევა და სხვ. მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ ჟურნალები ძირითადად ფორმალური ხასიათისაა, არ მოიცავს სრულ ინფორმაციას და სრულად არ ასახავს მონიტორინგის პროცესში, გასაუბრების შედეგად მიღებულ ფაქტობრივ გარემოებებს. ამასთან, ფაქტებთან ერთად რიგ შემთხვევებში არ ჩანს რეაგირების ფორმები და მიღებული შედეგი.

1.2 უკუკავშირისა და გაპროტესტების პროცედურები

მომსახურების მიმწოდებელმა მომსახურების მიწოდებისა და ფორმის შესახებ უკუკავშირის გამოხატვის იმგვარი საშუალება და პროცედურები უნდა დანერგოს, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს აღსაზრდელს და მის კანონიერ წარმომადგენელს, გამოხატოს საკუთარი აზრი, მათ შორის, ანონიმურად.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ მსტ სახლებში აღნიშნული სტანდარტით დანერგილი პროცედურები ფორმალური ხასიათისაა. შემოწმებული სახლების ერთ ნაწილში ხელმისაწვდომ ადგილზეა ანონიმური საჩივრების ყუთი, თუმცა იგი ვერ ჩაითვლება უკუკავშირისა და პროტესტის გამოხატვის ეფექტიან საშუალებად, რადგან ბავშვები მას თითქმის არ იყენებენ. მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა, რომ რიგ სახლებში საერთოდ არ არის დანერგილი უკუკავშირის და გაპროტესტების პროცედურები, არ აქვთ ანონიმური ყუთი და არც „უკუკავშირისა და გაპროტესტების პროცედურების ჟურნალი იწარმოება“.²⁸

²⁷ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი“, ბათუმი.

²⁸ საქველმოქმედო ფონდი „ჩემი სახლი“, თბილისი; “Divine Child foundation of Georgia”, სოფელი წილკანი.

ზოგადად, პრობლემურია მცირე საოჯახო ტიპის სახლებში არასრულწლოვანთა აზრის გამოხატვისა და გათვალისწინების საკითხი. მაგალითად, ერთ-ერთ მსტ სახლში²⁹ არსებული 24 საათიანი აუდიო-ვიდეო მეთვალყურეობა განსაკუთრებული პროტესტის განცდას იწვევს არასრულწლოვნებში. მიუხედავად ბავშვების მხრიდან წერილობით და ზეპირსიტყვიერად არაერთხელ გამოთქმული პროტესტისა, მათი აზრი არ გათვალისწინებიათ. ამაზე, დამატებით, „ანონიმური წერილების აღრიცხვის ჟურნალი“ და აღმზრდელების მიერ წარმოებული ჩანაწერებიც მიუთითებს.

აზრისა და პროტესტის გამოხატვის კუთხით, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ასევე გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვნები ხშირად თავს არიდებენ აზრის გამოხატვას საკუთარი ინიციატივით. მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით ამაღლდეს არასრულწლოვნების ინფორმირებულობის დონე და არსებული ყუთების ნაცვლად, წახალისდეს იმგვარი ურთიერთობები, რომლებიც ბავშვს შესაძლებლობას მისცემს პირადად გაუზიაროს საკუთარი აზრი და პროტესტი სახლში დასაქმებულ პირებს, რაც შემდეგ შესაძლოა წერილობითაც აღირიცხოს.

2. განათლება და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები არასრულწლოვნების სათანადო განვითარების, შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბავშვების განათლების პროცესზე ზედამხედველობას, ამ მიმართულებით მხარდაჭერას და მომზადებას დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა განათლების მიღების კუთხით ბავშვებში მოტივაციის ნაკლებობა, ზრუნვის პროცესში ჩართული პირების მხრიდან არასათანადო მხარდაჭერა, ბავშვების დაბალი ჩართულობა არაფორმალური განათლების პროცესში, პროფესიული თუ უმაღლესი განათლების მიღების კუთხით არსებული ხარვეზები და ბავშვების არსათანადოდ მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

2.1 ზოგადი და პროფესიული განათლება

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ბავშვის ჩარიცხვის დღიდან მიმდინარეობს ზრუნვა მისი ზოგადი განათლების პროცესში ჩართვის მიმართულებით. თუმცა ხშირად, სკოლაში ჩარიცხვის შემდეგ ეტაპზე, განათლების მიმართულებით ზრუნვის პროცესი არ არის დაგეგმილი, წახალისებული, ხარისხსა და ბავშვის ინტერესებზე ორიენტირებული. გამოიკვეთა ისეთი პრობლემები, როგორცაა კვალიფიციური დახმარების არარსებობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბავშვს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები ან აკადემიური ჩამორჩენა, მათ შორის კონკრეტულ სასწავლო საგნებთან დაკავშირებით, ასევე, უკიდურესად დაბალი მოტივაცია და ინტერესი სწავლის მიმართ, არაორგანიზებულიობა,

²⁹ საქველმოქმედო ფონდი „სოციალური პარტნიორობა“ მსტ სახლები.

არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების დეფიციტი, რის გამოც აღსაზრდელებს ხშირ შემთხვევაში არ აქვთ ასაკის შესაბამისი განათლება.

ზოგად ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ არასრულწლოვნების უმეტესობა ზოგადი განათლების მიღების პროცესს სავალდებულო საბაზო საფეხურის დასრულების (9 კლასი) შემდეგ წყვეტს, შემდგომში პროფესიული განათლების მიღებისა და დასაქმების მიზნით. ეს უმეტესად იმით არის გამოწვეული, რომ არასრულწლოვნებისთვის მთავარ პრიორიტეტია დროული დასაქმება, რის გამოც, ხშირად უარს ამბობენ მიიღონ სრული ზოგადი განათლება და სწორად განსაზღვრონ მათი პროფესიული ინტერესები. ამ მხრივ, განსაკუთრებით რისკის ქვეშ არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, რადგან რიგ შემთხვევებში, ისინი საბაზისო უნარ-ჩვევების დონეზეც კი არ არიან მომზადებულები დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, რის გამოც განსაკუთრებული რისკის ქვეშ დგება მათი უსაფრთხოება და განვითარება ზრუნვის პროცესის დატოვების შემდეგ ეტაპზე.

რაც შეეხება ბენეფიციარების აკადემიური უნარ-ჩვევების გაუმჯობესებასა და საგაკვეთილო პროცესზე ზედამხედველობას, ინდივიდუალური განვითარების გეგმების, ისევე, როგორც მომსახურების გეგმების მიხედვით, მსგავსი ვალდებულება ეკისრებათ აღმზრდელებს. თუმცა, ხშირ შემთხვევებში, მათ არ აქვთ ინფორმაცია არასრულწლოვნების აკადემიური დონის, საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ და ბავშვები დამოუკიდებლად ან ერთმანეთის დახმარებით ცდილობენ მოამზადონ სასკოლო დავალებები. გამოიკვეთა, რომ ბავშვებს განსაკუთრებით უჭირთ ტექნიკური საგნებისა და უცხო ენების ათვისება და იშვიათად იღებენ კვალიფიციურ დახმარებას, რაც მათ მოტივაციაზეც უარყოფითად აისახება.

მსტ სახლების ბენეფიციარები მეტ-ნაკლებად ჩართული არიან სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობაში³⁰. თუმცა, გამოიკვეთა, რომ ხშირ შემთხვევაში ბავშვების თავისუფალი დრო არ არის სწორად დაგეგმილი, ორგანიზებული და ბავშვების ძირითადი გასართობი უმეტესად არის ტელევიზორი, კომპიუტერი, ქუჩაში, პარკში ან სტადიონზე ყოფნა. განსაკუთრებით პრობლემური მდგომარეობაა რამდენიმე სახლში, რაც უმეტესად პროვაიდერი ორგანიზაციების ფინანსური შესაძლებლობებით, აღსაზრდელთა ინტერესისა და მოტივაციის ნაკლებობით თუ სახლების გეოგრაფიული მდებარეობით არის გამოწვეული.³¹

³⁰ ამ მხრივ მეტად საინტერესოა ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის პრაქტიკა, სადაც პროვაიდერი ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულია სხვადასხვა წრეები და დამატებითი საგნები სამეცადინოდ. ბავშვების არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულობის კუთხით მდიდარი გამოცდილება აქვს ფონდ „კარტასის“ სახლებსაც.

³¹ ა(ა)იპ არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო“ ნორიო; ა(ა)იპ არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო“ რუსთავი; „Divine Child foundation of Georgia“, სოფ. გლდანი; ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“ წალენჯიხა; სოფელი ბაჯითი; „საზოგადოება ბილიკი“, ხაშური.

პრობლემურია არასრულწლოვნებისთვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის საკითხი, რაც უმეტესად დამოკიდებულია სახლის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, რადგან რეგიონებში ნაკლებად ან საერთოდ არ არსებობს პროფესიული სასწავლებლები, ხოლო ტრანსპორტირებას პროვაიდერი ორგანიზაციები უმეტესად ვერ უზრუნველყოფენ. რიგ შემთხვევებში, პროფესიულ აღზრდაზე ზრუნვას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს. ზოგჯერ ბენეფიციარი რამდენიმე პროფესიას ეუფლება, მაგრამ ყოველთვის არ არის გათვალისწინებული ბავშვის ინდივიდუალური ინტერესები და შესაძლებლობები, არც შემდგომი ეტაპი იგეგმება. უმეტეს შემთხვევაში, პროფესიული განათლების მიღებას არსებული რესურსები განაპირობებს და ნაკლები ყურადღება ექცევა ბენეფიციარის ინტერესს, პროფესიული უნარების შეძენის შესაძლებლობებს. ასეთ სიტუაციაში, არასრულწლოვნები ცდილობენ დაეუფლონ იმ ხელობას, რომლის შესწავლის შესაძლებლობასაც მათ გეოგრაფიული თუ ფინანსური რესურსები აძლევთ. თუმცა უმეტესწილად მათ არ აქვთ გამოკვეთილი პროფესიული ინტერესი და მხოლოდ დროულად დასაქმების მიზანი ამოდრავებთ.

2.2 დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ბავშვების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება დღემდე პრობლემურ საკითხად რჩება. ამ პრობლემის გადასაჭრელად, სახელმწიფოს წლების განმავლობაში არ გაუტარებია ქმედითი ღონისძიებები მცირე საოჯახო ტიპის სახლების მომსახურებიდან სრულწლოვანების გამო გასული აღსაზრდელების ინტერესების უზრუნველსაყოფად. აღსაზრდელების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოსამზადებელი რესურსის მოძიებას, უმეტესწილად, მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია ცდილობს, თუმცა აღნიშნული დამოკიდებულია ორგანიზაციის ფინანსურ შესაძლებლობასა და ქველმოქმედებაზე, რაც ხშირ შემთხვევაში ნაწილობრივ ან საერთოდ ვერ უზრუნველყოფს ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერას.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ბავშვები ზრუნვის პროცესს, ხშირ შემთხვევაში, სრულიად მოუმზადებლები ტოვებენ. ზოგადი და პროფესიული განათლების მიღების კუთხით არსებული პრობლემების პარარელურად, გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული ახალგაზრდების დასაქმებაც. იმ შემთხვევაში, თუ მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარის ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია სრულწლოვანების მიღწევამდე მიზანშეწონილად არ ჩაითვალა, შესაძლებელია, რომ 18 წლის შემდეგ მისი ოჯახში დაბრუნება დაკავშირებული იყოს ისეთ რისკებთან, როგორცაა სიღარიბე და ძალადობა, და აღსაზრდელი სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ იმავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდება, რის გამოც, თავის დროზე, მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსდა. ამ მხრივ, განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, რომლებიც ხშირად ზრუნვის პროცესს სრულიად მოუმზადებლები ტოვებენ, სათანადო მხარდაჭერის გარეშე.

საქართველოს მთავრობის №601 დადგენილებით, 18 წლის შემდეგ ახალგაზრდა მცირე საოჯახო ტიპის სახლში შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩეს, თუ იგი იღებს ზოგად განათლებას. ამ შემთხვევაში, აღსაზრდელები, რომელთაც სურთ, მიიღონ უმაღლესი ან პროფესიული განათლება, არ არიან დასაქმებული და არ აქვთ მხარდაჭერა ბიოლოგიური ოჯახების მხრიდან, მხარდაჭერის გარეშე რჩებიან, რაც არღვევს მათი განათლების უფლებას, ვერ უზრუნველყოფს მათ მომზადებას დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის და ახალგაზრდებს ვერ იცავს სიღარიბისა და ძალადობისგან.

3. ჯანმრთელობის დაცვა და კვება

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები არასრულწლოვნების სათანადო განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია, მომსახურებამ დროულად დააკმაყოფილოს მათი სამედიცინო საჭიროებები და ბავშვები უზრუნველყოს ჯანსაღი, ხარისხიანი, უსაფრთხო საკვებით.

ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით, განსაკუთრებით თვალში საცემია ფსიქიკური ჯანმრთელობის, ასევე, ენდოკრინული ხასიათის და კუჭ-ნაწლავის პრობლემები. ძალიან ხშირია ენურეზის და ენკოპრეზის შემთხვევები, რაც უმეტესად, შესაძლოა ბავშვების ტრავმული გამოცდილებით იყოს გამოწვეული. ამასთან, რადგან სტომატოლოგიურ პრობლემებს სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამა არ აფინანსებს, პროვაიდერი ორგანიზაცია მხოლოდ გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურების ხარჯებს ფარავს, რის გამოც პროფილაქტიკური მომსახურება პროვაიდერი ორგანიზაციის ფინანსურ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული.

ასევე, ზოგად პრობლემად გამოიკვეთა არასრულწლოვნების ჯანსაღი, სრულფასოვანი საკვებით უზრუნველყოფა და აღნიშნული მიმართულებით ზრუნვის პროცესში ჩართულ პირთა თუ არასრულწლოვანთა ინფორმირებულობის საკითხი.

3.1 სამედიცინო დოკუმენტაცია

ბენეფიციართა პირადი საქმეების გაცნობისას, რიგ შემთხვევებში, არ იძებნებოდა ბავშვის ჩარიცხვისას წარმოდგენილი ფორმა №100/ა³², ამის მიზეზად კი სხვადასხვა გარემოება სახელდებოდა. აღმზრდელების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სამედიცინო დაწესებულებიდან აღნიშნული ფორმა ზოგჯერ დროულად არ იგზავნება³³. სტაციონარიდან

³² „ბრეს საქართველო“ დუშეთი; „საზოგადოება ბილიკი“ ორივე სახლი ხაშურში; საქველმოქმედო ჰუმანიტარული ფონდი „ბრეს საქართველო“ თელავი; ფონდი საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ ბაისუბანი; „SOS ბავშვთა სოფელი“ კვალითი; საქველმოქმედო ცენტრი „აფხაზეთი“ კურდღელაური; „ბავშვი და გარემო“ რუსთავი; „ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“ სახლი №8 თბილისი; „საქართველოს კარიტასი“ მარტყოფი; „ბავშვი და გარემო“ ნორიო.

³³ მარტყოფის სახლში, ლიდერის თქმით, მათ ბავშვები 2018 წლის იანვარში ჰყავდათ ფსიქიატრთან, რომელმაც ეს დოკუმენტი არ მისცა და მიზეზად დროის უქონლობა დაასახელა. ნორიოს სახლში, რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში ბოლო ვიზიტად მითითებულია 2017 წლის 22

სამედიცინო ფორმა №IV –100/ა მოაქვს სოციალურ მუშაკს, რაც ზოგჯერ რამდენიმე კვირით გვიანდება.

გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ბენეფიციართა ყოველწლიური პროფილაქტიკური შემოწმების შემდეგ სამედიცინო ფორმა №IV-100/ა არ შეიცავს სრულ ინფორმაციას ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, არ არის მითითებული თანმხლები დაავადებები, მოკლე ანამნეზი, როგორც ამას მოითხოვს ჯანდაცვის მინისტრის 2013 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №01-42/ნ³⁴. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რადგან პროფილაქტიკური გასინჯვისას არასრულად შევსებული სამედიცინო დოკუმენტაციის - ფორმა №IV-100/ა - გამო, შესაძლოა დროულად არ დაიგეგმოს სამედიცინო ხასიათის ინტერვენციები ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

3.2 ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებით პრობლემურია მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ არასრულწლოვანთა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის საკითხი. ბავშვები, რომლებსაც აქვთ ტრავმული გამოცდილება, არიან ძალადობის მსხვერპლი, აქვთ ფსიქოლოგიური/ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, აქვთ შშმ პირის სტატუსი და საჭიროებენ გადაუდებელ დახმარებას, სამწუხაროდ, ვერ სარგებლობენ ადეკვატური სერვისებით.

ბენეფიციარები, უმეტესად იმყოფებიან ამბულატორიულ ფსიქიატრიულ მეთვალყურეობაზე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში. თუმცა, გარდა მედიკამენტოზური მკურნალობისა, მათ ესაჭიროებათ ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია, რაც ფსიქოლოგების, სარეაბილიტაციო პროგრამების არარსებობისა ან დეფიციტის გამო, მიუღწეველია. ეს უკიდურესად უარყოფითად მოქმედებს ბავშვების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და ამით გამოწვეული პრობლემების მართვა, შესაბამისი პროფესიონალის ნაცვლად, ძირითადად აღმზრდელს უწევს საკუთარი ძალებით.

3.3. სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა

ბავშვთა ინფექციური დაავადებები, სახლებში, როგორც წესი, სპეციალურ ჟურნალში აღირიცხება³⁵. ყველაზე ხშირად გამოყენებად მედიკამენტებს განეკუთვნება

თებერვალი. აღმზრდელმა თქვა, რომ 2018 წელს ჰყავდათ ბავშვები ფსიქიატრთან, თუმცა ცენტრმა არ მისცა სამედიცინო ფორმა №IV –100/ა. ამ ორ სახლში ვერ ახსნეს, თუ რატომ არ ჩაერთო პრობლემის მოგვარებაში სოციალური მუშაკი.

³⁴ „ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის შევსების წესისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 9 აგვისტოს №338/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ. მუხლი 1 ი) მე-9 პუნქტი.

³⁵ „ბრეს საქართველო“ დუშეთის მცირე საოჯახო ტიპის სახლში მსგავსი ჟურნალი არ გააჩნიათ და აღმზრდელი თავად ინიშნავს მსგავსი ხასიათის შემთხვევებს რვეულში.

ტკივილგამაყუჩებელი და ანტისეპტიკური საშუალებები. სახლებში ნანახი მედიკამენტის ვარგისიანობის ვადები უმეტესად დაცული იყო³⁶. მედიკამენტებს ძირითადად მაშინ იძენენ, როდესაც აღსაზრდელი ავად ხდება. სახლების უმრავლესობაში წამლები შესაფერის და დაცულ, ბავშვებისთვის ხელმიუწვდომელ ადგილას ინახებოდა.

მსტ სახლების ყველა ბავშვს აქვს საყოველთაო სადაზღვევო პოლისი. ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით გაუთვალისწინებელი მომსახურების შემთხვევაში, სამედიცინო ხარჯებს პროვაიდერი ორგანიზაცია ფარავს, რაც ამავე ორგანიზაციის ფინანსურ რესურსზეა დამოკიდებული და დროული ხელმისაწვდომობის რისკს წარმოშობს. ყველა ბენეფიციარს, წელიწადში ორჯერ უტარდება ზოგადი პროფილაქტიკური შემოწმება მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებაში.

ბავშვების აცრებზე მონიტორინგს და კონტროლს აწარმოებს საუბნო პოლიკლინიკა, სადაც იმყოფებიან აღრიცხვაზე. გაირკვა, რომ სხვა დაწესებულებიდან გადმოყვანილ ბავშვებს ძველი სამედიცინო დოკუმენტაცია-ინფორმაცია ასაკობრივი აცრების შესახებ, არ მოჰყვებათ. ამის გამო რთულდება ბენეფიციართა სამედიცინო საჭიროებების დროული განსაზღვრა და ეფექტიანი მართვა.³⁷ ზოგიერთ სახლში³⁸ ჩატარებულ აცრებზე არ მოიპოვებოდა ინფორმაცია ყველა ბავშვთან დაკავშირებით, ზოგიერთში კი - არ ჰქონდათ ბავშვთა იმუნიზაციის ცხრილები³⁹.

3.4 კვება

კვება ყველა სახლში ოთხჯერადი და სამკომპონენტია. მენიუს რაიმე სტანდარტი და უნიფიცირებული კრიტერიუმები აღმზრდელებს არ აქვთ. ისინი უმეტესად ხელმძღვანელობენ პირადი ცხოვრებისეული გამოცდილებით და შესაბამისად, მენიუ ხშირად არადაბალანსებული და საკმაოდ ერთფეროვანია. ხშირად არ არის დაბალანსებული პურის, თევზეულის, გაზიანი სასმელების (ლიმონათი) და ხილის რაციონი.⁴⁰

³⁶ „ბრეს საქართველო“ დუშეთის მცირე საოჯახო ტიპის სახლის საოჯახო აფთიაქში რამდენიმე ვადაგასული მედიკამენტი ვნახეთ. სამი ვადაგასული მედიკამენტი აღმოჩნდა თელავის სახლის მცირე აფთიაქში. ქუთაისის მსტ სახლში ერთ-ერთი ბენეფიციარისთვის დანიშნული მედიკამენტის (ტეგრეტოლი) ნაწილი ვადაგასული იყო.

³⁷ „ბრეს საქართველო“ დუშეთის, გორის, ხაშურის ორივე სახლის, სოფ. ბაისუბნის, თელავის, სოფ. კვალითის; „SOS ბავშვთა სოფელი“ ქუთაისის მ.ს.ტ. სახლები.

³⁸ საქველმოქმედო ცენტრი „აფხაზეთი“ კურდღელაური; „ბავშვი და გარემო“ რუსთავი; „ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, თბილისის სახლი №8

³⁹ „სოციალური პარტნიორობა“ მსტ სახლი; „Divine child foundation of Georgia“, ბეჟანიშვილის ქ., თბილისი, სოფელი გალავანი, სოფელი წილკანი;

⁴⁰ „ბრეს საქართველო“ დუშეთი, „საზოგადოება ბილიკი“ გორი; ფონდი საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ ბაისუბანი; საქველმოქმედო ჰუმანიტარული ფონდი „ბრეს საქართველო“ თელავი, „SOS ბავშვთა სოფელი“ კვალითი; ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“ წალენჯიხა, Divine Child foundation of Georgia, სოფელი წილკანი, Divine child foundation of

არის შემთხვევები, როდესაც სახლები პროდუქტს ჰუმანიტარული სახით მიიღებენ. თითქმის ყველა სახლში აღნიშნეს, რომ საკვების მენიუს ბავშვებთან შეთანხმებით⁴¹ და მათი სურვილების გათვალისწინებით ადგენენ. ბავშვები ხშირად არიან ჩართული საკვების მომზადებისა და სამზარეულოს დასუფთავება-დალაგების პროცესში.

ვადაგასული პროდუქტი ნანახი იყო მსტ სახლში თბილისში, ბეჟანიშვილის ქუჩაზე და მცხეთის რაიონის სოფელ გალავანში მდებარე სახლში⁴².

ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია როგორც აღმზრდელების, ისე აღსაზრდელების ინფორმირება. აღმზრდელები ხშირად აღნიშნავენ, რომ არის შემთხვევები, როცა ბავშვები კვების პროცესში ვერ იცავენ ზომიერებას, თუმცა ქცევის კორექცია ხშირად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვერ მიიღწევა.

4. ინფრასტრუქტურა, ჰიგიენა და სანიტარული მდგომარეობა

სახლების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა უმეტესად დამაკმაყოფილებელია, თუმცა რამდენიმე სახლში მონიტორინგის დროს აღმოჩნდა, რომ დაზიანებული იყო სამრეცხაოდან გამავალი საკანალიზაციო მილები, სახურავის საწვიმარი ღარი, საკანალიზაციო ჭა.⁴³ ამასთან, აღსანიშნავია, რომ წალენჯიხის მსტ სახლის⁴⁴ პერსონალის განმარტებით, პროვაიდერი მათ არ ამარაგებს ქვანახშირით და საწვავად შეშის გამოყენება უწევთ, რაც პერსონალისგან ორ საათში ერთხელ საქვაბესთან მისვლას მოითხოვს. სახლის პერსონალი აცხადებდა, რომ ამის გამო, მათ ღამითაც უწევთ ადგომა და დღის განმავლობაში გამოუძინებლები არიან. ოზურგეთის მსტ სახლში⁴⁵ გასაწმენდია სახურავის საწვიმარი ღარი, რის გამოც წვიმის დროს კედლებზე წყალი ჩამოდის.

ქუთაისის⁴⁶, ჩხოროწყუს⁴⁷, წალენჯიხის მსტ⁴⁸ სახლებში კედლები დაზიანებულია ნესტისგან და საჭიროებს კოსმეტიკური რემონტის ჩატარებას. 2017-2018 წლებში ბათუმის მსტ სახლს⁴⁹

Georgia ბეჟანიშვილის ქ., თბილისი, Divine child foundation of Georgia სოფელი გლდანი, ა(ა)იპ არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო“ ნორიო.

⁴¹ ნორიოს მსტ სახლის გარდა, სადაც აღმზრდელებმა აღნიშნეს, რომ ბავშვები ამ პროცესში ნაკლებად ერთვებიან.

⁴² 5 ცალი მაწონი (Divine Child foundation of Georgia ბეჟანიშვილის ქ.) რძე, ხაჭო (Divine child foundation of Georgia სოფელი გალავანი).

⁴³ „sos ბავშვთა სოფელი“ ჩხოროწყუ; „sos ბავშვთა სოფელი“ წალენჯიხა, დადიანის ქ. N20.

⁴⁴ წალენჯიხა, დადიანის ქ. N20, პროვაიდერი „ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“.

⁴⁵ ოზურგეთი, აღმაშენებლის ქ. N53, პროვ. „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“.

⁴⁶ „sos ბავშვთა სოფელი“ ქუთაისი შ. დადიანის ქ. N17.

⁴⁷ „sos ბავშვთა სოფელი“ ჩხოროწყუ.

⁴⁸ „sos ბავშვთა სოფელი“ წალენჯიხა, დადიანის ქ. N20.

⁴⁹ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი“, ბათუმი.

ჩაუტარდა კოსმეტიკური რემონტი, მაგრამ ძველი შენობა კაპიტალური რემონტის ჩატარებას, მათ შორის, იატაკის და კედლების მოპირკეთებას, სახურავის და კარის შეცვლას საჭიროებს.

ჩხოროწყუს მსტ სახლში, ბიბლიოთეკაში, კომპიუტერთან გატეხილი იყო ფანჯრის მინა, რომელიც, როგორც გავარკვიეთ, დაახლოებით 3 წლის წინ გატყდა და ერთხელ, ერთ-ერთმა აღსაზრდელმა კომპიუტერის თამაშის დროს, სხვა აღსაზრდელთან კონფლიქტის გამო, ხელიც გაიჭრა. გარდა ამისა, შემოწმებისას გაირკვა, რომ საპირფარეშოს, მათ შორის, უნიტაზს ბენეფიციარები მორიგეობით ასუფთავებენ. ამ დროს არ არის დაცული უსაფრთხოების ნორმები - ბავშვები მრავალჯერადად იყენებენ ერთჯერად ხელთათმანს და ღრუბელს. ამ დროს ბენეფიციარებს უნიტაზთან ახლოს უწევთ სახის მიტანა, რაც მათ ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, რადგან ისინი როგორც წესი, არ ხმარობენ დამცავ ნიღაბს, მათ შორის, არც ქიმიური საშუალებების გამოყენების შემთხვევაში.

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესაში მდებარე მსტს „მომავლის სხივი“ უსაფრთხოების ნორმების დაცვის მხრივაც პრობლემური იყო. აღნიშნულ სახლს არ გააჩნდა ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებები. სახლი არ იყო აღჭურვილი სახანძრო უსაფრთხოების დეტექტორებით. ასევე არ არსებობდა სევეაკუაციო გეგმა. სახლს არ მიეწოდება ბუნებრივი აირი და აქედან გამომდინარე, სამზარეულოს საწვავი აირი მიეწოდება ე.წ. ბალონებით, რაც სახლის უკან ეზოში, ფაქტობრივად, ღია ცის ქვეშ იდგა და აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე, ბავშვებისთვის საფრთხეს წარმოადგენდა. ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებები ასევე არ გააჩნდათ ქუთაისში კეკელიძის ქუჩაზე მდებარე საქველმოქმედო ჰუმანიტარული ფონდის, „ბრეს საქართველოს“ სახლს, ასევე ოზურგეთში მდებარე მსტ-ს, „მომავლის სხივი“ და ქობულეთში მდებარე მსტ-ს, „სოციალური პარტნიორობა“ (ჩერნოვეცკის ფონდი).

საყურადღებო ფაქტია, რომ ერთ-ერთი სახლის⁵⁰ მეორე სართულზე არის ერთი სველი წერტილი – ერთი საპირფარეშო და ერთი აბაზანა, რომლითაც სარგებლობენ გოგონებიც და ვაჟებიც, მაშინ როდესაც პირველ სართულზეც არის სველი წერტილი, რომლითაც მხოლოდ აღმზრდელები სარგებლობენ.

რაც შეეხება ჰიგიენას, სახლებში უმეტესწილად დაცულია სისუფთავე, თუმცა სანიტარიულ-ინფრასტრუქტურული მდგომარეობის კუთხითაც გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები. შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ ქუთაისის მსტ სახლის⁵¹ საპირფარეშოში სისუფთავე არ იყო დაცული და არასასიამოვნო სუნის იდგა. ჩხოროწყუს მსტ სახლში უსიამოვნო სუნის იდგა ბავშვების საძინებლებსა და ბიბლიოთეკაში, სადაც ისინი დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ.

ვიზიტის დროს ბენეფიციარები უზრუნველყოფილი იყვნენ პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით, თუმცა კბილის ჯაგრისებს უმეტესად უთავსახუროდ ინახავდნენ. ჩხოროწყუს

⁵⁰ ასოციაცია „სოს ბავშვთა სოფელი“ წალენჯიხა.

⁵¹ „სოს ბავშვთა სოფელი“ ქუთაისი, შ.დადიანის ქ. №17.

მსტ სახლის ბენეფიციარებისთვის შხაპის მისაღებად კვირაში მხოლოდ ერთი დღე იყო გამოყოფილი და სხვა დღეებში არ ბანაობდნენ. ამავე სახლში თეთრეულს მხოლოდ თვეში ერთხელ ცვლიდნენ.

შემოწმებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში გვეცნობა, რომ თვითონ აღმზრდელები ატარებენ სახლებში დეზინფექციას, თუმცა ამის დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი ვერ წარმოადგინეს.

სახლების წყალმომარაგების კუთხით, პრობლემას წარმოადგენს ჭების წყლის სინჯების არარეგულარული აღება. გარდა ამისა, მოუწესრიგებელია სამარაგო ავზების სადეზინფექციო დამუშავების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

5. ძალადობისგან დაცვა

განსაკუთრებით მწვავე პრობლემად რჩება მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ არასრულწლოვანთა ძალადობისგან დაცვის, რეაბილიტაციის, ძალადობის ფაქტების გამოვლენისა და ადეკვატური ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული დახმარებით უზრუნველყოფის საკითხი. საგანგაშოა ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ წლების განმავლობაში ვერ უზრუნველყო მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები ტრავმული გამოცდილების მქონე ბავშვთა რთული, ძალადობრივი ქცევების პოზიტიური მეთოდებით მართვა, ბენეფიციარების ძალადობისგან დაცვა და მათი დროული ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია.

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ ძალადობის განსაკუთრებით მწვავე შემთხვევების დროსაც კი არ შეინიშნება შემთხვევის მულტიდისციპლინური მართვა, შესაბამისი პროფესიონალების დროული ჩართულობა და განმეორებითი ძალადობის პრევენცია. რიგ შემთხვევებში, სახლში დასაქმებულ აღმზრდელებს უწევთ ძალადობის უკიდურესად მწვავე შემთხვევების დამოუკიდებელი მართვა, რისი კომპეტენცია, ცოდნა თუ უნარ-ჩვევები, მათ უმეტესად არ გააჩნიათ.

ბავშვზე ზრუნვის პროცესში, ძალადობის ფაქტებზე რეაგირების, მონიტორინგისა და ზედამხედველობის კუთხით, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ სოციალურ მუშაკებს, თუმცა, მათი ეს საქმიანობა არ არის სისტემატური და ეფექტიანი, რაც დაკავშირებულია ფინანსურ და ადამიანურ რესურსებთან, შესაბამისი სერვისების არარსებობით გამოწვეულ პრობლემებთან.

5.1 . ბენეფიციარებს შორის ძალადობა

მცირე საოჯახო ტიპის სახლების დიდ ნაწილში⁵² სისტემატური ხასიათი აქვს ბავშვებს შორის ძალადობის ფაქტებს. ასაკით უფროსი, ტრავმული გამოცდილების მქონე ბენეფიციარების

⁵²Divine child foundation of Georgia, ბეჟანიშვილის ქ., თბილისი, წილკნის, გალავნის, სოფ. გლდანის; „sos ბავშვთა სოფელი“ ჩხოროწყუ; „SOS ბ/სოფელი ქუთაისი“ სახლი №2, კვალითი; საქველმოქმედო ჰუმანიტარული ფონდი „ბრეს საქართველო“ თელავი; „ბავშვი და გარემო“ რუსთავის, ნორიოს,

მხრიდან, რომელთა სათანადო რეაბილიტაცია არ განხორციელებულა, იკვეთება უმცროსი აღსაზრდელების მიმართ სხვადასხვა სახის, მათ შორის, განსაკუთრებით მძიმე ძალადობის ფაქტები. არის ცალკეული სახლები, სადაც განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა შექმნილი, რადგან ერთად არიან მოთავსებული მძიმე ტრავმული გამოცდილების, რთული ქცევისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვები.

განსაკუთრებით პრობლემურია წარსულში ძალადობის მსხვერპლი ბავშვების განმეორებითი ძალადობისგან დაცვა, ძალადობის ფაქტების პრევენცია და შემთხვევის სათანადო მართვა. რიგ შემთხვევებში, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნების მიმართ, სხვადასხვა ფორმის ძალადობის ფაქტები მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსების შემდეგაც ხორციელდება, ნაცვლად იმისა, რომ იგეგმებოდა მათი ჩართვა სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობაში.

სახელმწიფო აღზრდის ფორმების სისტემატური ცვლილება ან მსტ სახლებს შორის ბენეფიციართა როტაცია იწვევს შეცვლილ სოციალურ გარემოსთან ადაპტაციის პრობლემებს და ბავშვის ემოციური მდგომარეობის გაუარესებას, რაც ისედაც ტრავმული გამოცდილების მქონე ბავშვებში ემოციურ და ქცევით დარღვევებში ვლინდება და შესაძლოა ბავშვებს შორის ძალადობის ერთ-ერთ მაპროვოცირებელ გარემოებადაც გადაიქცეს.

მონიტორინგის პროცესში, აღმზრდელებისა და აღსაზრდელების მხრიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ზოგად ტენდენციად გამოიკვეთა მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელების მიმართ სკოლაში სხვადასხვა ტიპის სავარაუდო ძალადობის ფაქტები, როგორც ბავშვებს შორის, ისე პედაგოგების მხრიდანაც (წამორტყმა, ბულინგი, თმის მოქაჩვა, ყურის აწევა და ა.შ.). ასევე იკვეთება ბავშვების სახლებიდან დროებით გასვლის პერიოდში მათი ძალადობისგან დაცვის კუთხით არსებული პრობლემები. უმეტესად, სათანადოდ არ არის შეფასებული ძალადობის, უსაფრთხოების კუთხით არსებული რისკები მაშინ, როდესაც არასრულწლოვნები დროებით ბრუნდებიან მათ ბიოლოგიურ ოჯახებში. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ოჯახში დროებით ყოფნის პერიოდში ბავშვებზე არ ხორციელდება სათანადო მზრუნველობა, არის შესაძლო ძალადობის ფაქტები, მსტ სახლებში ბრუნდებიან შეცვლილი განწყობით, ქცევებით და არსებობს საფრთხე, რომ ოჯახებში დროებით ყოფნის პერიოდში ისინი უგულვებელყოფის ან სხვა სახის ძალადობის მსხვერპლები ხდებიან.

ერთ-ერთ მსტ სახლში არასრულწლოვანი, ამავე სახლის აღსაზრდელების მხრიდან ჰომოფობიური ბულინგის მსხვერპლია, ბავშვებს შორის წარმოიქმნება კონფლიქტური სიტუაციები, არის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებიც. მნიშვნელოვანია ისიც, რომ არასრულწლოვანი მანამდე სხვა მცირე საოჯახო ტიპის სახლში ირიცხებოდა, სადაც, სავარაუდოდ, ასევე იყო ჰომოფობიური ძალადობის მსხვერპლი სახლის აღსაზრდელისა და თემში მცხოვრები სხვა ბიჭების მხრიდან. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, სახალხო

საქველმოქმედო ცენტრი „აფხაზეთი“ კურდღელაური; „საქართველოს კარიტასი“ მარტყოფი; ა/აიპ „მომავლის სხივი“ ოზურგეთის მსტ სახლები.

დამცველმა რეკომენდაციით⁵³ მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, რაზეც მოგვეწოდა ინფორმაცია გატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, თუმცა, მიუხედავად ამისა, ბავშვის ძალადობისგან დაცვის პრევენცია და კონფლიქტური სიტუაციის მართვა ვერ მოხერხდა.

5.2 ძალადობის ფორმები მცირე საოჯახო ტიპის სახლებში

განსაკუთრებით სერიოზულ პრობლემად იკვეთება მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ბავშვებს შორის სექსუალური ძალადობის ფაქტები. ორ მცირე საოჯახო ტიპის სახლში, მიუხედავად იმისა, რომ ზრუნვის პროცესში ჩართული პირებისთვის ცნობილია სექსუალური ძალადობის ფაქტების შესახებ, წლების განმავლობაში სავარაუდო მოძალადე და მსხვერპლი არასრულწლოვნები კვლავ ერთ სახლში რჩებიან. ამ მიმართულებით არათუ არ ხორციელდება შემთხვევის მართვა და სათანადო სარეაბილიტაციო აქტივობების დაგეგმვა, არამედ, ფაქტობრივად, არაფერი გაკეთებულა ხელახალი ძალადობის თავიდან ასაცილებლად.

ანგარიშში წარმოდგენილია მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები არასრულწლოვნების მიმართ ჩადენილი ძალადობის რამდენიმე ფაქტი, რაზეც სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო რეაგირების თაობაზე, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით⁵⁴ მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს. მიღებული საპასუხო წერილით⁵⁵ გვეცნობა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამისი სამმართველოების თანამშრომლები თითოეულ შემთხვევას შეისწავლიან, როგორც ადგილზე ვიზიტებით, ისე შემთხვევაზე მომუშავე ყველა ჩართული პირისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, დაიგეგმება სამომავლო ნაბიჯები.

შემთხვევა №1:

ერთ-ერთ მსტ სახლში მცხოვრები და-ძმა, მათ მიმართ სისტემატური ძალადობის საფუძველით გამოიყვანეს ოჯახიდან. დოკუმენტაციის გაცნობისას აღმოჩნდა, რომ 2017 წლის 21 სექტემბერს, ფსიქოლოგმა ჩაატარა ინტერვიუ ბენეფიციართან, როგორც სავარაუდო სექსუალური ძალადობის მსხვერპლთან. არასრულწლოვანი საუბრისას დეტალურად აღწერდა მის მიმართ სახლის ერთ-ერთი ბენეფიციარის მხრიდან განხორციელებული სექსუალური ძალადობის ფაქტებს. იმავე ინტერვიუში ბავშვი აღნიშნავს, რომ მისი ძმაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლია ამავე პირის მხრიდან. ამ ფაქტების შესახებ ცნობილი გახდა 2017 წლის ოქტომბრიდან, თუმცა ბავშვი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი,

⁵³ სახალხო დამცველის რეკომენდაცია №10-3/15014, 05/12/2018

⁵⁴ სახალხო დამცველის რეკომენდაცია №10-3/193, 10/01/2019.

⁵⁵ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს. მიღებული საპასუხო წერილი 10-3/193; 22/01/2019.

სავარაუდოდ, უკვე აგვისტოში იყო. მნიშვნელოვანია, რომ ფსიქოლოგის დასკვნის შემდეგ, სავარაუდოდ მოძალადე და მსხვერპლი არასრულწლოვნები კვლავ ერთ სახლში ცხოვრობდნენ 2018 წლის 20 სექტემბრამდე, ვიდრე სავარაუდოდ მოძალადე არასრულწლოვანი 18 წლის მიღწევის გამო სახლიდან არ ამოირიცხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში ჩართულია შინაგან საქმეთა სამინისტრო და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, გვეცნობა, რომ ბავშვებს ერთმანეთისგან ვერ განაცალკევებდნენ, ვინაიდან, ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია ვერ ხერხდებოდა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სავარაუდოდ მოძალადე არასრულწლოვანი სამი წლის ასაკიდან იმყოფებოდა სხვადასხვა სახის სახელმწიფო მზრუნველობაში. აღნიშნულ შემთხვევაში მთლიანად უგულვებელყოფილია ბენეფიციართა ემოციური და ფიზიკური უსაფრთხოება, ძალადობისგან დაცვა და მათი სათანადო მხარდაჭერა.

შემთხვევა №2:

ერთ-ერთ მცირე საოჯახო ტიპის სახლში აღმზრდელებისთვის ცნობილი გახდა, რომ სახლის ბენეფიციარ ოთხ და-ძმას შორის სახლში განთავსებამდე, მინდობით აღზრდაში ყოფნის პერიოდშიც, უფროსი ძმები უმცროს და-ძმაზე სავარაუდოდ სექსუალურად ძალადობდნენ. მომხდარი ფაქტის შესახებ ინფორმირებული იყო სოციალური მომსახურების სააგენტო, თუმცა ბენეფიციარები სახლში დატოვეს. მონიტორინგის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის შეფასებით ირკვევა, რომ გატარებული ღონისძიებები არასაკმარისი და არაეფექტიანია. მოძალადე ბენეფიციართა ქცევა არ შეცვლილა. ძალადობის მსხვერპლს აქვს სიბნელისა და ღამის შიშები. უჭირს დაძინება, ღამე შიშით ეღვიძება, იწყებს ტირილს და ყვირილს, რის გამოც, ასევე ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი გოგონა მის გვერდით წვება, ვიდრე ბავშვი არ დამშვიდდება. მოძალადე და ძალადობის მსხვერპლი ბავშვები ერთმანეთის გვერდით ოთახებში იმყოფებიან, ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ოთახში კი მონიტორინგის დროს ნათურაც გადამწვარი იყო და ბავშვს, რომელსაც ღამის შიშში აქვს, სიბნელეში უწევდა ყოფნა.

5.3 აღმზრდელების მხრიდან ჩადენილი ძალადობა

მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ აღმზრდელები ხშირად ვერ ფლობენ კრიზისისა და კონფლიქტური სიტუაციების მართვის უნარებს და შესაძლოა თავადვე ხდებიან კიდევ მსგავსი კონფლიქტების მაპროვოცირებლები. ამასთან, გამოიკვეთა აღმზრდელების მხრიდან ბავშვების მიმართ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტებიც.⁵⁶

ერთ-ერთ მცირე საოჯახო ტიპის სახლში⁵⁷ შექმნილი კონფლიქტური სიტუაციის თაობაზე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ფსიქოლოგის დასკვნაში მითითებულია, რომ „სახლის აღმზრდელთა არაპროფესიონალური, არაემპათიური დამოკიდებულება ახდენდა

⁵⁶ „SOS ბ/სოფელი ქუთაისი“; „SOS -ბავშთა სოფელი“ ჩხოროწყუს მსტ სახლი

⁵⁷ საქველმოქმედო ჰუმანიტარული ფონდი „ბრეს საქართველო“ - თელავი, ორბელიანის ქ.

ბავშვის არასათანადო ქცევის პროვოცირებას და გამუდმებით განუმტკიცებდა მას საკუთარი თავის მიმართ ნეგატიურ წარმოდგენას.“ ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ამავე სახლში ბენეფიციარებს შორის კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი არასრულწლოვანი გოგონა რეინტეგრაციის პროგრამით დაბრუნდა ბიოლოგიურ ოჯახში მაშინ, როდესაც ოჯახში მას ჰქონდა ძალადობის გამოცდილება. რჩება შთაბეჭდილება, რომ რეინტეგრაცია გახდა მცირე საოჯახო ტიპის სახლში შექმნილი კონფლიქტური სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი, ისე რომ სათანადოდ არ შეფასებულა ბავშვის საჭიროებები, უსაფრთხოება და ინტერესები.

ერთ-ერთ სახლში, ბენეფიციარებმა სოციალურ მუშაკს აღმზრდელის მხრიდან აღსაზრდელების უფლებადარღვევის ფაქტების შესახებ აცნობეს. თუმცა დაცული არ ყოფილა ბავშვის კონფიდენციალურობა და შექმნილი არაკეთილსაიმედო მდგომარეობიდან გამომდინარე, განხორციელდა ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია, მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანი ოჯახში ძალადობის მსხვერპლი იყო. რეინტეგრაციის პირობებში, ბავშვი კვლავ გახდა მამის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი, რომლის შემდეგაც ბავშვი ისევ იმავე მსტ სახლში ჩაირიცხა. ორივე მოცემულ შემთხვევაში, აღმზრდელები გათავისუფლდნენ, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მსგავს შემთხვევაში რეაგირება იყოს დროული, იმგვარად, რომ არ იწვევდეს არასრულწლოვნების მდგომარეობის გაუარესებას.

საქველმოქმედო ფონდის, „სოციალური პარტნიორობა“, მცირე საოჯახო ტიპის სახლში ბავშვზე ზრუნვის პროცესზე ოცდაოთხსაათიანი აუდიო-ვიდეო მეთვალყურეობა და მცირედ გადაცდომაზე შენიშვნისა თუ საყვედურის მოლოდინი უარყოფითად აისახება ბავშვებისა და აღმზრდელების ემოციურ მდგომარეობაზე, ვერ უზრუნველყოფს კეთილგანწყობაზე, ნდობასა და პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას და ბავშვებისა და აღმზრდელების მხრიდან უარყოფითი ემოციების საფუძველი ხდება, რაც პირველ რიგში არღვევს ბავშვის ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული აღზრდის პრინციპს.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ერთ-ერთი მსტ სახლის აღმზრდელების ჩანაწერები არასრულწლოვნებთან დაკავშირებით. კერძოდ:

- „ძალიან უზრდელია, ამ დილას ცოტა იკონცერტა“
- „ღამე, როგორც ყოველთვის ჩემ მორიგეობაზე, ლამის დაიხრჩო, ისე ახველა სპაზმურად“
- „ვერ გაძღა ვერც ჭამით, ვერც გარეთ ყოფნით“; სულელობს, ტინგიცობს, ვითომ ხუმრობს, მაგრამ, სულელივით იქცევა, არ გამოსდის“
- „სადამოს რაღაცაზე ატყდა და კარგად გვწყევლა ყველა აღმზრდელი, ნეტავ მოკვდეთო“; „სკოლიდან ჩაფსმული მოვიდა, გამოიცვალა, იმეცადინა ვითომ, იცანცარა...“; „ხისთავიანია, არაფერი ესმის, იმ ქარში გინდა თუ არა, უნდა ვიკატაოო და არ გავუშვი, ლამის მცემა, ისეთი დღე დაიწია, თან ჩაფსმული იყო“; „ცანცარებს, ყველაზე გვიან მოდის სკოლიდან, ყველაზე ბინძურია, რასაც ჭამს, ნახევარს იატაკზე ყრის“; „პამპერსს სულ წურწურით გასდიოდა შარდი“

- „ესაც სულელია, იკრიჭება, უაზროდ იცინის, არაფერი ესმოდა...“, „თვითონაც არ იცოდა, რაზე წკმუტუნებდა“; „იცანცარა, ტრუსიკში ჩაისვარა და ვერ გრძნობდა, ცოტა მეტი მოუვიდა, ცანცარი ტირილად გადაუკეთდა, მალე დაწყნარდა“
- „დაბრუნდა უბინძურესი, არ იბანავა“; „სამივე დედმამიშვილი ერთმანეთზე უარესად იქცეოდა... ველარ გაუძლო ამის უაზრო სიცილს, ბავშვებიც ატყობენ, უფრო და უფრო გაუსაძლისები და აუტანლები გახდნენ“
- „აფერისტია ჩვეულებრივი, ყველას ელაქუცება, მაგრამ არა დამაჯერებლად... მე ბოდიშები მიხადა“; „აფერისტობას სახლვარი არ აქვს, ისევ ბოდიშებს იხდის, არ ვიცი ამდენი თვალთმაქცობა სად შეუძლია“; „ნერვები ჰქონდა მოშლილი, ველოსიპედები უკვე გააფუჭეს... მერე ბავშვების კრებაზე ცოტა იტლიკინა და გვეპასუხა, რომ დამშვიდდა, ახლა ბოდიშები იხადა. ვისაუბრეთ ინდივიდუალურად“.

ყოველივე ეს აღმზრდელების მხრიდან არასრულწლოვნების მიმართ ღირსებისშემლახველ, შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებაზე მიუთითებს და ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ მსტ სახლის აღმზრდელები არ არიან კეთილგანწყობილები ბავშვების მიმართ და მათ უსაფრთხოებაზე, ინტერესებზე მორგებულ, კეთილსაიმედო გარემოს ვერ შექმნიან.⁵⁸

5.4. ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების პრობლემები

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ არასრულწლოვანთა დიდ ნაწილს აქვს ძალადობის გამოცდილება. რიგ შემთხვევაში, ძალადობის ფაქტები, რომელთა მსხვერპლებიც ისინი არიან, არის განსაკუთრებით მძიმე, სხვადასხვა სახის, განგრძობითი, რის შედეგადაც არასრულწლოვნებს აღენიშნებათ მეტყველების, განვითარების, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები. შედეგად, ეს იწვევს რთულ ქცევას, ალკოჰოლზე, თამბაქოზე დამოკიდებულებას, ძალადობრივ ქცევებს, საგანმანათლებლო საჭიროებებს და განათლებისა თუ პროფესიის დაუფლების კუთხით მოტივაციის ნაკლებობას ან არქონას.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსების პირველივე დღიდან დაიგეგმოს ისეთი აქტივობები, რომლებიც არასრულწლოვანს დაეხმარება განცდილი ძალადობის დაძლევაში, მისით გამოწვეული პრობლემების გადალახვასა და ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, რათა შემდგომში მზად იყოს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე აღნიშნული მიმართულებით სახელმწიფოს

⁵⁸ სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა დეპარტამენტში დაწყებული საქმისწარმოების ფარგლებში, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს საპასუხო წერილით №04-14-06/3208 გვეცნობა, რომ აღსაზრდელებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისთვის უცნობია მომსახურების მიმწოდებლის მიერ წარმოებული შიდა დოკუმენტაციის შინაარსი (მათი მონიტორინგი არ განეკუთვნება სოციალური მუშაკების მოვალეობას). აღნიშნულზე პროვაიდერი ორგანიზაციის ადმინისტრაციამ მომსახურე პერსონალი წერილობით გააფრთხილა. მათი უნარ-ჩვევების განვითარებისთვის ჩატარებულია თემატური ტრენინგ-კურსები.

მხრიდან გადადგმული ნაბიჯები მინიმალურ დონეს ვერ სცდება, არც სარეაბილიტაციო აქტივობები ხორციელდება.

შექმნილმა გარემომ, დამატებითი პროფესიონალების მხარდაჭერის დეფიციტმა, იმ ფონზე, რომ აღმზრდელებს ხშირად თავად უწევთ კრიზისული სიტუაციების მართვა, შესაძლოა გამოიწვიოს აღმზრდელების პროფესიული გადაწვა და მათი ხშირი ცვლილება, რაც ვერ უზრუნველყოფს სახლებში ოჯახთან მიახლოებული გარემოს შენარჩუნებას. პრობლემურია აღმზრდელების გადამზადება რთული ქცევისა და ძალადობის მართვის საკითხებში.

ძალადობის ფაქტებზე რეაგირების ერთ-ერთ გზად პრაქტიკაში მიმართავენ რთული ქცევის მქონე ბავშვის სხვა სახლში გადაყვანას, მაგრამ რიგ შემთხვევებში აღნიშნული არ გამოიყენება როგორც უკიდურესი ღონისძიება. შესაბამისად, ზრუნვის ფორმის ხშირი ცვლა, იმ პირობებში, როდესაც რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანს სათანადოდ არ მიეწოდება სხვა სახის მხარდაჭერის სერვისები, შესაძლოა დამატებითი სტრესის წყარო გახდეს. ეს კი, ძალადობის პრევენციის კუთხით არათუ არ იძლევა სასურველ შედეგს, პირიქით, ბავშვებში იწვევს ქცევის გაუარესებას.

მონიტორინგის დროს, აღსაზრდელები ხშირად გამოთქვამდნენ პროტესტს სახლში რთული ქცევის მქონე ახალი ბენეფიციარების ჩარიცხვის გამო, რაც ხშირად სტრესულ სიტუაციას ქმნის. სოციალური სამსახურის მიერ ბავშვის მსტ სახლში ჩარიცხვისას ან ზრუნვის ფორმების ცვლილებისას ბავშვი ხშირად არასრულფასოვნად ფასდება. მიმღები მსტ სახლის ბენეფიციარებსა და სერვისის მიმწოდებლებს მოსალოდნელი გამოწვევების შესახებ დროული და სრულყოფილი ინფორმაცია არ მიეწოდებათ და სახლის სოციუმი ახალი ბენეფიციარის მიღებას სრულიად მოუზადებელი ხვდება, რაც მსტ სახლში არსებული ემოციური გარემოს მკვეთრ გაუარესებას იწვევს.

განხორციელებული მონიტორინგის შედეგებიდან იკვეთება, რომ არ ხდება ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ფსიქოსოციალური რებილიტაცია, დინამიური ფსიქოლოგიური ინტერვენცია, რაც მას სტრესის დამღევაში, ასევე, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვაში დაეხმარებოდა. ფსიქოლოგი არ არის ბავშვზე ზრუნვის გუნდის მუდმივი წევრი. მას ხშირად მხოლოდ გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში რთავენ ზრუნვის პროცესში. მსტ სახლების ბენეფიციარები რიგ შემთხვევებში საერთოდ არ არიან უზრუნველყოფილი ფსიქოლოგის მომსახურებით, ან მომსახურება ეპიზოდურ ხასიათს ატარებს, ფსიქოლოგიური სტატუსის შეფასებით შემოიფარგლება და პრობლემის დამღევაზე ორიენტირებული ფსიქოლოგიური ინტერვენციები არ უტარდებათ.

ცალკეულ სახლებში გამოვლინდა ალკოჰოლის, თამბაქოს აქტიურად მოხმარების, სახლიდან გაპარვის ფაქტები. მაგალითად, ყოველდღიურობას წარმოადგენს რამდენიმე მსტ სახლიდან ბენეფიციარის უნებართვით გასვლა და გვიან ღამით ან დილით ადრე, ზოგჯერ არაფხიზელ მდგომარეობაში დაბრუნება ან რამდენიმე დღით გაუჩინარება, როცა მათი ადგილსამყოფელის შესახებ აღმზრდელებს ინფორმაცია არ აქვთ. ამაზე მიუთითებს

აღმზრდელების ყოველდღიური ჩანაწერების ჟურნალი: „მთელი ღამე არ იმყოფებოდა სახლში. დაბრუნდა ძალიან აგრესიული... აიღო სახრახნისი, რკინის კლუჭი... ურტყამდა, აწვალავდა საწყობს. არის სრული საგიჟეთი. უკონტროლოა სამივე. გაუსაძლისია ამ სამ ბავშვთან, დანარჩენები უყურებენ გამომტერებული სახით. საკუთარ ჭურჭელს არ რეცხავენ, ყრიან, კომპიუტერთან ეწევიან, არანაირი მეთოდი მათთან მიდგომის არ არსებობს, გადაწყვიტეს ეგრე მოქცევა და კადრულობენ ყველაფერს. რომ დაბრუნდა, მომეჩვენა ნასვამი, რომ ვკითხე, თქვა მოწეულში ვარო. იქცეოდა არაადეკვატურად, სახლი დააყენეს თავდაყირა“.

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში მყოფ პანსიონურ დაწესებულებებში

გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციიდან გამომდინარე, ბავშვს, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია თავის ოჯახურ გარემოცვას, სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების უფლება აქვს⁵⁹. თავის მხრივ, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს იგი სათანადო ზრუნვით, დაცვისა და დახმარების სერვისებით.

ბავშვზე ზრუნვის მიმართულებით რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში მყოფი სკოლა-პანსიონების (შემდგომში - რელიგიური პანსიონები) ფუნქციონირება ყველაზე პრობლემურ საკითხად რჩება, რაც უკავშირდება პანსიონების ლიცენზირების, სახელმწიფო კონტროლის უმოქმედობის და სააღმზრდელო გარემოს ბენეფიციართა ინდივიდუალურ საჭიროებებზე ნაკლებად ორიენტირების პრობლემებს.

ბავშვზე მზრუნველობის სახელმწიფო სისტემაში რეზიდენტული ტიპის დაწესებულება უნდა ქმნიდეს ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ სააღმზრდელო პირობებს, იყოს მცირე ზომის და უზრუნველყოფდეს ბავშვის კეთილსაიმედო ზრუნვას, განვითარებასა და უფლებების დაცვის მაღალ სტანდარტს. ამის საპირისპიროდ, რელიგიური პანსიონების უმეტესობა დიდი ზომის ინსტიტუციაა, რაც დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის მიზნებს არ შეესაბამება, პანსიონებში არსებული სააღმზრდელო პირობები კი, ვერ პასუხობს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპს.

2018 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში მყოფი 7 სკოლა-პანსიონის⁶⁰ მონიტორინგი განახორციელა. შემოწმების

⁵⁹ გაეროს ბავშვის უფლებების კონვენცია, მუხლი 20.

⁶⁰ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოს ააიპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში; საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოს ააიპ სოფელ ფერიის წმ. მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონში; საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქო ბედიანის ბავშვთა და მოზარდთა სარეაბილიტაციო ცენტრში; ქართველ მუსლიმთა კავშირის სოფელ

ძირითადი მიზანი იყო პანსიონებში მცხოვრები ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა, იმ ძირითადი პრობლემებისა და გამოწვევების გამოვლენა, რომლებიც აღნიშნული დაწესებულებების ბენეფიციართა უფლებების ეფექტიან დაცვასა და კეთილსაიმედო გარემოში აღზრდის უფლებას აბრკოლებს.

1. ინფორმაცია მომსახურების შესახებ

სააღმზრდელო საქმიანობის განხორციელება შესაბამისი ლიცენზირების გარეშე კანონით აკრძალულია⁶¹. მიუხედავად ამისა, რელიგიური პანსიონების უმრავლესობა საქმიანობას ლიცენზიის გარეშე ახორციელებს, ხოლო შესაბამისი ნებართვა, მხოლოდ 3 დაწესებულებას გააჩნია⁶².

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ იმ დაწესებულებების წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას უნებართვოდ ეწევიან, ნაკლებად არიან ინფორმირებული ლიცენზირების პროცესებთან და სავალდებულო კრიტერიუმებთან დაკავშირებით, სახელმწიფო უწყებები კი, ჯეროვან ინფორმაციას

ფერიის გოგონათა პანსიონში; ქართველ მუსლიმთა კავშირის სოფელ ფერიის ვაჟთა პანსიონში; ქართველ მუსლიმთა კავშირის ქობულეთის ვაჟთა პანსიონში; ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. ღორჯომის ვაჟთა მუსლიმურ პანსიონში; ვიზიტები ასევე განხორციელდა დაბა სტეფანწმინდასა და საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაჯითის სკოლა-პანსიონებში, სადაც პანსიონური მიწოდება ბავშვებისათვის შეწყვეტილი იყო მონიტორინგის განხორციელების დროს.

⁶¹ „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, შესაბამისი სამართლებრივი აქტით განისაზღვრება სააღმზრდელო საქმიანობის განხორციელების წესი და პირობები, ხოლო ამ მოთხოვნების დარღვევით სააღმზრდელო საქმიანობის განხორციელება აკრძალულია.

⁶² სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს კორესპონდენცია №02/22509, 19.04.2018.

სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზია აქვთ შემდეგ დაწესებულებებს: 1. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოს ააიპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონი; 2. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოს ააიპ სოფელ ფერიის წმ. მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონი; 3. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქო ბედიანის ბავშვთა და მოზარდთა სარეაბილიტაციო ცენტრი.

სახალხო დამცველის მიერ შემოწმებული პანსიონებიდან ლიცენზირების გარეშე ფუნქციონირებენ: 1. ქართველ მუსლიმთა კავშირის სოფელ ფერიის გოგონათა პანსიონი; 2. ქართველ მუსლიმთა კავშირის სოფელ ფერიის ვაჟთა პანსიონი; 3. ქართველ მუსლიმთა კავშირის ქობულეთის ვაჟთა პანსიონი; 4. ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. ღორჯომის ვაჟთა მუსლიმური პანსიონი.

სალიცენზიო მოთხოვნების, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის⁶³ ნორმებისა და პირობების შესახებ, არ აწვდიან.

განსაკუთრებით პრობლემურია, რომ პასუხისმგებელ უწყებებს დღემდე არ აქვთ ინფორმაცია რელიგიური პანსიონებისა და მათში ჩარიცხული ბავშვების ზუსტი რაოდენობის შესახებ, ხოლო უკვე იდენტიფიცირებულ დაწესებულებებში მეტად სუსტია სახელმწიფოს კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმი. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო თითქმის არ მონაწილეობს ბავშვების დაწესებულებაში ჩარიცხვისა და ამორიცხვის პროცესებში, არ კონტროლდება პანსიონებში არსებული საადმინისტრაციო პირობები და გარემო. შესაბამისად, დაწესებულებაში შესვლა და დატოვება სახელმწიფოს პასუხისმგებელი უწყების მიღმა ხდება. ყოველივე ეს სრულიად დაუცველ მდგომარეობაში აყენებს ამ დაწესებულებების არასრულწლოვან ბენეფიციარებს.

დაწესებულებებში ბავშვების ჩარიცხვის დამადასტურებელი ერთადერთი დოკუმენტი, ძირითადად მშობელთა განცხადებებია. მეურვეობა-მზრუნველობის ორგანო ჩარიცხვის პროცესში არ მონაწილეობს, შესაბამისად, ბავშვის პანსიონში განთავსების საკითხზე საოქმო გადაწყვეტილებები დაწესებულებებში არ მოიპოვება.

ზემოაღნიშნული პრობლემები ფიქსირდება ლიცენზირებულ პანსიონებშიც, სადაც ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის დაცვაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან რაიმე სახის კონტროლი ან ზედამხედველობა არ მიმდინარეობს. მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ ლიცენზირებულ პანსიონებში ყველა ბენეფიციარის შეფასება, განვითარებისა და სოციალური ფუნქციის ამამაღლებელი კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა, მათთვის ინდივიდუალური განვითარების გეგმების შედგენა⁶⁴ ამ დრომდე არ განხორციელებულა.

პანსიონებში ბავშვებს უმეტესად არ აქვთ საკუთარი აზრის, შეხედულების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა. დაწესებულებებში არსებული შეზღუდვები, აღზრდის მკაცრი წესი, არასრულწლოვანთა დიდი რაოდენობა, ნაკლებად ქმნის ოჯახთან მიახლოებულ ინკლუზიურ გარემოს. შესაბამისად, შემოწმების შედეგები იმაზე მეტყველებს, რომ დაწესებულებებში არსებული საადმინისტრაციო პირობების მისადაგება ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტებთან, კვლავ გამოწვევას წარმოადგენს⁶⁵.

⁶³ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილება „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“.

⁶⁴ ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებიდან გამომდინარე, მომსახურების მიმწოდებელს უნდა ჰქონდეს კონკრეტული სამოქმედო გეგმა ბავშვთან ინდივიდუალური მუშაობის პროცესში.

დაწესებულებებში ასევე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება და ინფორმაციის აღრიცხვა. ამ მხრივ განსაკუთრებული საჭიროებები გამოვლინდა მუსლიმურ პანსიონებში, სადაც ადმინისტრაცია არ არის ინფორმირებული, თუ რა ტიპის დოკუმენტაცია უნდა აწარმოონ „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ ფარგლებში, მათ შორის, შემოწმებულ სახლებში არ აქვთ შინაგანაწესი, სააღმზრდელო პროგრამა, ინფორმაცია პერსონალის შესახებ, აღმზრდელთა და აღსაზრდელთა პირადი საქმეები, „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებით“ მოთხოვნილი ჟურნალები და ა.შ.

2. ძალადობისგან დაცვის უფლება

ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენცია და ძალადობის რისკების შეფასება, რელიგიური ტიპის პანსიონებში, კვლავ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად. გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებელი უწყების მხრიდან რელიგიურ პანსიონებში ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე ეფექტიანი კონტროლი არ მიმდინარეობს, არასრულწლოვნების მიმართ უგულებელყოფისა თუ შესაძლო ძალადობის შემთხვევებიც ნაკლებად ვლინდება.

დოკუმენტაციის წარმოების პრობლემებიდან გამომდინარე, პანსიონებში არ გვხვდება დაცული ინფორმაცია ძალადობის ფაქტების აღრიცხვის, პროტესტისა და უკუკავშირის შემთხვევებზე პანსიონების მიერ გატარებულ ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგების თანახმად, ბავშვების სააღმზრდელო პროცესში, დასჯის მეთოდად შეიძლება გამოყენებული იყოს ყურის აწევა, თმის მოქაჩვა, კუთხეში დაყენება, რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის დროებითი შეზღუდვა, მეტანიების გაკეთება. აღნიშნულის პარალელურად, ბავშვებს ხშირ შემთხვევაში არ აქვთ მსგავსი მოპყრობის გაპროტესტების, თავიანთი განსხვავებული აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა და ისინი ეგუებიან არსებულ გარემოს. ერთ-ერთ დაწესებულებაში, კერძოდ, ნინოწმინდის პანსიონში არასრულწლოვნები თითქმის იზოლირებულები არიან სოციუმიდან, ამასთან, ბავშვებს არ აქვთ კონკრეტული ინფორმაცია, თუ ვის შეიძლება მიმართონ თავიანთი უფლებების დაცვის მიზნით.

რელიგიური სკოლა-პანსიონების ფუნქციონირება ასევე უკავშირდება ინსტიტუციური ძალადობის მაღალ რისკს, უგულებელყოფის შემთხვევების გამოვლენისა და რეაგირების საკითხებს. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებებში ბავშვთა სააღმზრდელო რეჟიმი მკაცრად არის რეგულირებული და არასრულწლოვნების ინდივიდუალურ საჭიროებებზე ნაკლებად ორიენტირებული, უგულებელყოფის პრობლემა სისტემური ხასიათისაა.

3. განათლების უფლება და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება

რელიგიურ სკოლა-პანსიონებში ჩარიცხული ბავშვები ჩართული არიან ზოგადი განათლების მიღების პროცესში, ისინი ირიცხებიან სკოლებში, თუმცა პრობლემურია, რომ რიგ

დაწესებულებებში არასრულწლოვნები ნაკლებად მონაწილეობენ სხვადასხვა სახის კლასგარეშე და არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში.

პანსიონებში საგაკვეთილო პროცესის შემდგომ მიმდინარეობს რელიგიური სწავლება. დღის განმავლობაში რელიგიური გაკვეთილების მომზადებასა და სწავლებას დაახლოებით ორი საათი ეთმობა, თუმცა პანსიონების წარმომადგენელთა განცხადებით, საჭიროებიდან გამომდინარე და ბავშვის სურვილის შემთხვევაში, რელიგიის სწავლების კუთხით, დამატებით ინდივიდუალური მეცადინეობაც ტარდება.

მუსლიმური პანსიონების წესის თანახმად, სააღმზრდელო პერსონალს, ბავშვებისათვის რელიგიური გაკვეთილების ჩატარება და მათთვის შესაბამისი საღვთისმეტყველო ცოდნის მიცემა რომ შეეძლოს, სპეციალური განათლება უნდა ჰქონდეს მიღებული რელიგიური სწავლების სფეროში. სწავლების პროცესში ასევე ერთვებიან უფრო ასაკის ბავშვები, რომლებიც თავიანთ ცოდნას უზიარებენ უმცროსკლასელებსა და პანსიონში ახალმისულ აღსაზრდელებს.

მუსლიმურ სკოლა-პანსიონებში ბენეფიციარებს ასევე შეასწავლიან საოჯახო საქმიანობასა და თვითმოვლის წესებს. თუმცა სახლებში წახალისებული არ არის არაფორმალური განათლების პროცესი და დაგეგმილი არ არის მრავალფეროვანი სპორტული, შემეცნებითი და სხვა სახის აქტივობები. მუსლიმური პანსიონების ბიბლიოთეკებში ძირითადად ხელმისაწვდომია რელიგიური ლიტერატურა, კონტროლდება ბავშვების კომპიუტერით, ტელევიზორით და ტელეფონით სარგებლობა. გაკვეთილების მომზადების დროს ბავშვებს ჩამორთმეული აქვთ მობილური ტელეფონები, ხოლო ტელევიზორით სარგებლობა მხოლოდ თავისუფალ დროს შეუძლიათ.

მართლმადიდებლური ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფი სკოლა-პანსიონებიდან მრავალფეროვანი კლასგარეშე აქტივობები წახალისებულია ბედიანისა და ფერიის პანსიონებში, თუმცა ამ კუთხით პრობლემებია ნინოწმინდის პანსიონში, სადაც ბავშვები ნაკლებად არიან ჩართული სპორტულ და შემეცნებით აქტივობებში, ფაქტობრივად არ არის ბავშვების სათანადო დასვენების, გაჯანსაღებისა და თავისუფალი დროის მათი სურვილისამებრ დაგეგმვის შესაძლებლობა.

ასევე, კვლავ პრობლემურია, რომ სკოლაში, რომელიც ნინოწმინდის პანსიონთან ტერიტორიულად საკმაოდ ახლოს მდებარეობს, ბავშვები ჯგუფების მიხედვით დაჰყავთ აღმზრდელებს, დერეფანში ელოდებიან და შემდეგ პანსიონამდე მიაცილებენ. ბავშვები აღმზრდელების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან, მათ შორის, ეზოშიც და სკოლის დერეფნებშიც. პანსიონი შემოსაზღვრულია მაღალი გალავნით, რომლის დატოვების უფლება ასევე არ აქვს ბენეფიციარს აღმზრდელის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს საჯარო სკოლის საკლასო ოთახის ან პანსიონის ტერიტორიის გარეთ გასვლა დასჭირდება,

აუცილებელია აღმზრდელთან შეთანხმება ან/და მისი გაყოლა. პანსიონის ადმინისტრაცია აღნიშნულ მოთხოვნას ბავშვების უსაფრთხოების დაცვით ხსნის, თუმცა, მეორე მხრივ, არასრულწლოვნებს, ფაქტობრივად, არ რჩებათ პირადი სივრცე, ვერ გადაადგილდებიან დამოუკიდებლად, რაც ვერ უზრუნველყოფს მათ მომზადებას დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

აღსანიშნავია ასევე, დაბა სტეფანწმინდასა და საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხეში არსებული მდგომარეობა, სადაც ლიცენზირების პრობლემების გამო, დაწესებულებები აღარ ეწევიან პანსიონურ მომსახურებას⁶⁶. განაკუთრებით პრობლემურია საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი დაბა სტეფანწმინდის სკოლის მოსწავლეთა განათლების ხელმისაწვდომობა, სადაც ბავშვები ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 10 სოფლიდან დადიან; ზამთრის პერიოდში მკაცრი კლიმატური პირობების გამო, ისინი ვერ ახერხებენ ყოველდღიურად სკოლაში მოსვლას. ამავე დროს, მათ არ აქვთ პანსიონური მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა, რადგან პანსიონმა ლიცენზირების არარსებობის გამო, შეწყვიტა ფუნქციონირება. ბავშვებს ყოველდღიურად ემსახურება დაბა სტეფანწმინდის სკოლის სამარშრუტო ტაქსი, თუმცა მანქანა ზოგიერთ სოფელში საერთოდ ვერ აღწევს უგზოობის გამო, რიგ შემთხვევებში კი, ვერ აკმაყოფილებს ყველა ბავშვის მოთხოვნას და არასრულწლოვნებს შემთხვევით გამვლელთან ერთად ან ფეხით უწევთ შორი მანძილის გავლა.

პანსიონებში კვლავ პრობლემები და გამოწვევებია ბავშვების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების კუთხით. პანსიონური მომსახურების მიღების ფარგლებში, ბავშვების მომზადება ძირითადად რელიგიური სწავლების კუთხით მიმდინარეობს და ნაკლები ყურადღება ექცევა საზოგადოებაში ინტეგრაციას. ამ მხრივ კეთილსაიმედო მდგომარეობაა საქართველოს საპატრიარქოს ფერიის სკოლა-პანსიონში, სადაც წახალისებულია პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების გაგრძელების საკითხი, საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალური უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიმართულებები.

4. კვება და ჯანმრთელობის დაცვა

რელიგიურ პანსიონებში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ბავშვების ფსიქო-ემოციური განვითარების უზრუნველყოფა და მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა. პრობლემურია პანსიონებში ჩარიცხული ბავშვების ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროებების გამოვლენა, მათთვის ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის მომსახურების მიწოდება, მათ ემოციურ კეთილდღეობაზე ზრუნვა.

⁶⁶ აღნიშნულ დაწესებულებებში ფუნქციონირებდა როგორც სკოლა, ისე - პანსიონი, თუმცა 2018 წლის მდგომარეობით, პანსიონური მომსახურება შეჩერდა და ბავშვები სკოლის სერვისით სარგებლობენ.

პანსიონებში ბავშვთა პირადი ჰიგიენის დაცვის საკითხებს ზედამხედველობას უწევენ პირადი აღმზრდელები; მორიგეობის წესის შესაბამისად კი, თავად ბენეფიციარებიც ჩართულები არიან ჯგუფის ოთახების, სანიტარული კვანძებისა და სხვა ტერიტორიის დალაგება-დასუფთავების პროცესში.

ლიცენზირებულ პანსიონებში ბავშვები პირველადი ჯანდაცვის ობიექტებში პანსიონის მდებარეობის შესაბამისად აღირიცხებიან, შესაბამისი მუნიციპალიტეტის სამედიცინო ცენტრში. არალიცენზირებულ პანსიონებში კი, ძირითადად, ბავშვების იურიდიული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სამედიცინო დოკუმენტაციდან, დაწესებულებებში ძირითადად მოიპოვება ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა - ფორმა №4 - 100/ა.

რაც შეეხება ჯანსაღი კვების საკითხებს, პანსიონებში ბავშვების კვების მენიუს შედგენაში არ მონაწილეობის ნუტრიციოლოგი, ძირითადად მზადდება საერთო საკვები, თუმცა გამოკითხულ ბენეფიციართა თანახმად, მენიუს შედგენისას მათ სურვილებს ითვალისწინებენ. გამოკითხული თანამშრომლებისა და ბავშვების განცხადებით, მარხვის დროს პანსიონებში კვების მენიუ დგება როგორც სამარხვო, ისე - არასამარხვო საკვების ჩართვით, ხოლო სამარხვო საკვების მიღების საკითხს წყვეტს ბენეფიციარი, მისი სურვილის შესაბამისად.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- სრულწლოვანების ასაკს მიღწეული, სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასულ ბენეფიციართათვის შემუშავდეს მათი მხარდაჭერისა და ზრუნვის ქვეპროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდა პირთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვას, მათ ინტეგრაციასა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებას;
- შევიდეს ცვლილება საქართველოს მთავრობის დადგენილებაში №601 „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამის ნაწილში, რომლითაც ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფად განისაზღვრებიან ახალგაზრდები, სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, მათი უმაღლესი/პროფესიული განათლების მიღებისა თუ სხვა სახის საჭიროებიდან გამომდინარე
- „მოხდეს რელიგიური სკოლა-პანსიონების ლიცენზირების საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ცვლილებების ინიცირება და საქმიანობის ადექვატური სტანდარტების შემუშავება“

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- მინდობით აღმზრდელი და ბიოლოგიური ოჯახები სისტემატურად გადამზადდნენ ბავშვის უფლებების დაცვის და ზრუნვის მიმართულებით, მათ შორის შემდეგ საკითხებზე:
 - ა) ინდივიდუალური გეგმის არსი;
 - ბ) ქცევის მართვის პოზიტიური მეთოდები;
 - გ) ჯანსაღი კვებით უზრუნველყოფა;
 - დ) ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვა
- შეფასდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჭიროებები და გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები ბავშვზე ზრუნვის მიმართულების რეფორმირებისა და გაძლიერებისთვის, მათ შორის:
 - ა) სისტემატურად გადამზადდნენ სოციალური მუშაკები, შემუშავდეს და დაინერგოს გადამზადების შემდგომი შეფასების მეთოდოლოგია;
 - ბ) გაიზარდოს სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების რაოდენობა და გადაიხედოს მათი სამუშაო აღწერები;
 - გ) უზრუნველყოფილ იქნას სფეროში მომუშავე სპეციალისტების სამუშაო პირობების გაუმჯობესება, მათ შორის, ტრანსპორტირების, ხელფასის ზრდის მიმართულებით;
- განხორციელდეს რთული და ძალადობრივი ქცევის, ტრავმული გამოცდილების მქონე ბენეფიციართა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ფსიქო-სოციალური და სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის პროცესის ინიცირება;
- გაძლიერდეს სახელმწიფო ზრუნვაში ჩართული ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის გეგმური და არაგეგმური მონიტორინგი, მათ მიმართ ძალადობის და სხვა საჭიროებების დროულად გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად;
- სახელმწიფო ზრუნვაში ჩართულ ბავშვებს სისტემატურად მიეწოდოთ ინფორმაცია ძალადობისგან დაცვის მექანიზმებისა და პასუხისმგებელი ორგანოების, მათი აზრის გამოხატვის თავისუფლების, კონფიდენციალურობის დაცვის და სხვა საკითხების შესახებ;
- გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ოჯახების სოციალური ფუნქციის ასამაღლებელი მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების საჭიროებების დროულ დაკმაყოფილებას;

- ინდივიდუალური გეგმების შედგენის პროცესში, მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული არასრულწლოვანთა საჭიროებები, ინტერესები და მათ განხორციელებას გაეწიოს ეფექტიანი ზედამხედველობა;
- სოციალურმა მუშაკმა მუდმივი ზედამხედველობა გაუწიოს არასრულწლოვნების განათლებისა და ჯანმრთელობის უფლების კუთხით (იმუნიზაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობა და სხვ.) არსებულ გამოწვევებს და პროაქტიულად მოიძიოს თემში არსებული ყველა სერვისი ბავშვების ინტერესებისა და სურვილის გათვალისწინებით;
- გამოვლინდეს სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი თითოეული ბენეფიციარის საჭიროებები, ვიდრე ზრუნვის პროცესს დატოვებდნენ, რათა 18 წელს რომ მიაღწევნ, მაქსიმალურად იყვნენ გაძლიერებულები და უზრუნველყოფილნი იყვნენ მხარდაჭერით დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის;
- მუდმივი ზედამხედველობა გაეწიოს მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურების მიწოდების მხრიდან განხორციელებულ ზრუნვის პროცესს. მათ შორის, დროულად იქნას შესწავლილი პროცესში ჩართული პირების მხრიდან ბავშვის უფლებადარღვევის სავარაუდო ფაქტები;
- თითოეულ ბავშვთან დაკავშირებით, რეინტეგრაცია განხორციელდეს არსებული რისკების მაქსიმალურად შეფასების, ოჯახის მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგის საფუძველზე და რეინტეგრაციის გადაწყვეტილება მიიღებოდეს მხოლოდ ბავშვის ინტერესიდან გამომდინარე;
- განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს სახელმწიფო ზრუნვიდან ოჯახებში დროებით გასული არასრულწლოვნების ძალადობისგან დაცვის საკითხებზე, ნებისმიერი უფლებადარღვევის ფაქტი აღირიცხოს წერილობით, განხორციელებულ რეაგირებასთან ერთად;
- აქტიური კონტროლი დაწესდეს რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში მყოფ ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, მათ შორის ბენეფიციართა ჩარიცხვა-ამორიცხვაზე, ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;
- დაიწყოს აქტიური მუშაობა რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში მყოფი პანსიონების ლიცენზირების განხილვის საკითხებზე და დაწესებულებათა ადმინისტრაციას მიეწოდოს სათანადო ინფორმაცია ლიცენზირების სავალდებულო ხასიათისა და დაკმაყოფილების კრიტერიუმების შესახებ;
- პანსიონებში რიცხულ ბენეფიციარებთან დაიწყოს აქტიური ინდივიდუალური მუშაობა მათი ფსიქო-ემოციური მდგომარეობისა და განვითარების შესაფასებლად, განისაზღვროს მათთან ინდივიდუალური მუშაობის სტრატეგია;

- რელიგიური კონფესიების პანსიონებში ჩარიცხული ბენეფიციარების უფლებრივი მდგომარეობის დასაცავად, განისაზღვროს ბავშვების ალტერნატიულ სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების ყველაზე ეფექტიანი ფორმა და თითოეულ ბავშვთან დაიწყოს ინდივიდუალური მუშაობა ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტების დასაკმაყოფილებლად.

მცირე საოჯახო ტიპის სახლების სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებს:

- დაიგეგმოს მსტ სახლების პერსონალის სისტემატური, პრაქტიკული და თეორიული გადამზადება ბავშვის რთული ქცევის მართვის, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე ზრუნვის საკითხებში;
- შემუშავდეს და დაინერგოს უკუკავშირისა და გაპროტესტების ეფექტიანი მექანიზმი, რომელსაც არ ექნება ფორმალური ხასიათი და წახალისებული იქნება ბავშვების მიერ აზრისა და პროტესტის გამოხატვის შესაძლებლობა;
- ბავშვის მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ ეცნობოს პასუხისმგებელ უწყებებს;
- დროული რეაგირება მოჰყვეს როგორც ანგარიშში მოყვანილ შემთხვევებს, ისე, ზოგადად, აღმზრდელების მხრიდან კონფლიქტური სიტუაციების შესაძლო პროვოცირების ან არასრულწლოვნების უფლებადარღვევის ფაქტებს;
- შემუშავდეს სახელმძღვანელო დოკუმენტი ბავშვთა უსაფრთხო, ჯანსაღი და დაბალანსებული კვების თავისებურებების თაობაზე;
- დროულად გარემონტდეს ანგარიშში მითითებული მსტ სახლები სათანადო საცხოვრებელი პირობების უზრუნველსაყოფად;
- დაინერგოს მსტ სახლების პერიოდული სრული სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური დამუშავება;
- მსტ სახლები, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, უზრუნველყონ ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით.